პროლეტარიანო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

შაბათი, 18 ივლისი, 1949 წ. № 140 (8443). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში:

პროპაგანდისტთა მომზადება დიდი პოლიტიკური მნიშვნელობის საქმეა—მოწინავე (1-ლი გვერდი).
საბჭოთა კავშირში (1-ლი გვერდი).
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში (1-ლი გვერდი).
ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა (მე-2 გვერდი).
ახალი სასწავლო წლისათვის მზადების საკითხი პლენუმზე (მე-3 გვერდი).
ი. დოლიძე — გავაუმჯობესოთ დრამატული თეატრების მუშაობა (მე-3 გვერდი).
პერტუარი (მე-3 გვერდი).
ვლ. გელაშვილი — უგებგმოდ მომუშავეთა ხვედრი (მე-3 გვერდი).
კრიტიკა და ბიბლიოგრაფია (მე-3 გვერდი).
უცხოეთის ამბები — დეპეშები (მე-4 გვერდი).

პროპაგანდისტთა მომზადება დიდი პოლიტიკური მნიშვნელობის საქმეა

საბჭოთა ხალხი წარმატებით ახორციელებს სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლას. ამასთან დაკავშირებით იდეოლოგიური მუშაობა სულ უფრო ფართო მნიშვნელობას იღებს. უცხო კულტურის წინაშე ქედის მოხრისა და უგვარტოძო კოსმოპოლიტიზმის — კაპიტალიზმის ამ გადმონაშთთა წინააღმდეგ ბრძოლამ აამაღლა ჩვენი კადრების სიფხიზლე, გაზარდა პარტიული ორგანიზაციების ამოცანები კომუნისტთა იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებისათვის.

პარტიული განათლების ქსელში სასწავლო წლის შედეგების აღრიცხვისადმი მიძღვნილი მეცადინეობანი, მარქსიზმ-ლენინიზმის დამოუკიდებლად შემსწავლელთა ჯგუფობრივი გასაუბრებები, ცალკეულ კომუნისტთა ინიციატივისა და თაოსნობის ხრდა მიუთითებენ იმ ნაყოფიერ მუშაობაზე, რომელიც წელს პარტიული განათლების ქსელში ჩატარდა.

ახალი სასწავლო წელი პირველ სექტემბერს დაიწყება, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ მანამდე შეწყვეტილ უნდა იქნას პროპაგანდისტული მუშაობა. სწორედ შესვენების პერიოდში პარტიული განათლების ქსელში უფრო ფართოდ უნდა გავაჩაღოთ პოლიტიკურ თემებზე მასობრივი საჯარო ლექციების კითხვა. ლექტორებისათვის უმნიშვნელოვანესი თემებია: საბჭოთა ხალხის ბრძოლა ომისშემდგომი ხუთწლედის ვადამდე შესრულებისათვის, ბუნების გარდაქმნის დიადი სტალინური გეგმა, საბრუნავი სახსრების ბრუნვის დაჩქარება, მეცხოველეობის აღმავლობა — სოფლის მეურნეობის განვითარების ცენტრალური ამოცანაა და სხვ. ლექციათა მაღალხარისხოვნად ჩატარებისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს მის დაკავშირებას ახალი ხუთწლედის საკითხებთან. ამჟამად ჩვენს რესპუბლიკაში უდიდესი მნიშვნელობის სახალხო მშენებლობანი მიმდინარეობს. შენდება ჩვენი რესპუბლიკის სიამაყე — ამიერკავკასიის მეტალურგიული კომბინატი რუსთაფში, საავტომობილო ქარხანა ქუთაისში, ჩვენი დედაქალაქის ბუნებას მალე სავსებით შეიკვლის სამგორის სარწყავი სისტემა. პროპაგანდისტი უნდა ჩაწვდეს ამ უდიდეს სახალხო მშენებლობათა არსს და ოსტატურად დაუკავშიროს იგი თავის სასაუბრო თემას. ეს კიდევ უფრო მიმზიდველს გახდის ლექციას და გაზრდის ლექტორის ავტორიტეტს.

ერთი წუთითაც არ უნდა დავივიწყოთ, რომ ლექციების ხარისხი დამოკიდებულია იმ ადამიანებზე, რომლებიც ლექციას იდეურ მიმართულებას აძლევენ — ლექტორებზე, პროპაგანდისტებზე, მათს პოლიტიკურ გამოწრთობაზე. ლექტორთა შემადგენლობის გაუმჯობესებისათვის ზრუნვა, ლექტორთა მომზადების ამაღლება, მათი მუშაობისათვის ნორმალური პირობების შექმნა პარტიული ორგანიზაციების გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს.

წელს პროპაგანდისტულ სამუშაოზე ძრავალი ახალგაზრდა დაწინაურდა. ამ ამხანაგების დიდი ნაწილი პარტიაში შემოვიდა ომის დროს და შემდეგ. მათ ჯერ კიდევ აკლიათ გამოცდილება, მათი თეორიული მომზადება განუწყვეტელ შევსებას მოითხოვს. ამ ამხანაგების დიდი ნაწილი უნარიანად ართმევდა თავს დაკისრებულ მოვალეობას, მაგრამ საკმარისია მათ შეწყვეტონ ბეჯითი სწავლა, რომ უმალ ჩამორჩნენ მოვლენებს. პარტიული ორგანიზაციების ამოცანაა განუწყვეტლივ იზრუნონ ახალგაზრდა პროპაგანდისტთა იდეური ზრდისა და დახელოვნებისათვის.

პროპაგანდისტთა იდეურ-თეორიული მომზადებისა და მეთოდური ცოდნის ამაღლებისათვის პარტიის ზრუნვის ახალ გამოვლინებას წარმოადგენს საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილება მიმდინარე წლის ზაფხულის პერიოდში პოლიტსკოლების, ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის ბიოგრაფიებისა და საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის შემსწავლელი წრეების ხელმძღვანელთა კურსების მოწყობის შესახებ.

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილების საფუძველზე საქართველოს კ. პ. (ბ) ცხტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება მიმდინარე წელს პროპაგანდისტული კადრების დიდი რაოდენობით მომზადების შესახებ. საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან მოეწყო ერთთვიანი რესპუბლიკური კურსები სოფლის პარტიული ორგანიზაციების 350 პროპაგანდისტისათვის. ეს კურსები გუშინ შეუდგა მუშაობას.

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის, ქუთაისის, სოხუმის, ფოთის, ბათუმის, ტყვარჩელის, ჭიათურის, რუსთავის და სტალინირის საქალაქო კომიტეტებთან დაკომპლექტებულია პოლიტსკოლების და წრეების პროპაგანდისტთა სამთვიანი კურსები, რომელთა მეტი ნაწილი უკვე მუშაობს. ამ კურსების პროპაგანდისტები წარმოებისგან მოუწყვეტლად აიმაღლებენ თავიანთ თეორიულ დონეს.

კურსების სასწავლო გეგმები ისეა შედგენილი, რომ მათში ღრმა თეორიულ საკითხებთან ერთად შეტანილია მეთოდიკის დარგში ლექციებისა და სემინარული მეცადინეობის თემები. სოფლის პროპაგანდისტისათვის განზრახულია ლექციებისა და მოხსენებების სერიის წაკითხვა იდეოლოგიური და სამეურნეო მშენებლობის საკითხებზე, პარტიის უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებათა და სსრ კავშირის საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ. სემინარული მეცადინეობისას გამოყენებულ იქნება წრეებისა და სკოლების საუკეთესო პროპაგანდისტთა გამოცდილება, რაც, უეჭველია, დიდ სარგებლობას მოუტანს თვით პროპაგანდისტებს. ამჟამად ამოცანა ის არის, რომ ყოველმხრივ დაეხმაროთ კურსებს, შეუქმნათ მაღალნაყოფიერი მუშაობისათვის საჭირო პირობები. პარტიულმა ორგანიზაციებმა სანიმუშოდ უნდა მოაწყონ კურსების მუშაობა, რომ პროპაგანდისტებმა შეძლონ ღრმად შეისწავლონ თავიანთი საგანი, აიმაღლონ თეორიული დონე. „ჩვენ ისეთი პროპაგანდისტული კადრები გვჭირდება, რომლებიც მარქსისტულ-ლენინური მეცნიერების, ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის ნაშრომების მტკიცე ცოდნაზე დაყრდნობით თავისუფლად გაერკვევიან საშინაო და საერთაშორისო ვითარებაში, შეძლებენ პასუხი გასცენ მშრომელთა ყოველ პოლიტიკურ კითხვას, განმარტონ ყველა თეორიული დებულება, ჩაუნერგონ თავიანთ მსმენელებს მაღალი იდეურობა, ბოლშევიკური რწმენა და სიმტკიცე“ („პრავდა“).

მიუხედავად მსმენელების მრავალრიცხოვნობისა, კურსები ყველა პროპაგანდისტს როდი მოიცავს. პროპაგანდისტთა დიდი უმრავლესობა კურსებს გარეთ დარჩება. პარტიულმა ორგანიზაციებმა ერთი წუთითაც არ უნდა შეანელონ მათდამი ყურადღება. საჭიროა მათთან სისტემატურად ჩატარდეს ლექციები პარტიის ისტორიისა და თეორიის, საერთაშორისო ურთიერთობის, სამეურნეო მშენებლობის საკითხებზე, მოეწყოს მეთოდური ხასიათის საუბრები.

პარტიული ორგანიზაციები ამჟამად უდიდესი სამეურნეო მნიშვნელობის საქმეს ეწევიან — მიმდინარეობს მოსავლის აღება, ჩაისა და ციტრუსების რაიონებში გადამწყვეტი დღეები დადგა ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის, უდიდესი მუშაობაა გაჩაღებული სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში მონაწილეობის უფლების მოსაპოვებლად. ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ ამ დიდ სამეურნეო საქმიანობასთან მოხერხებულად შევათავსოთ პროპაგანდისტთა კადრებისათვის ზრუნვა. უნდა გვახსოვდეს, რომ შემდეგში ეს ზრუნვა ათმაგად იქნება ანაზღაურებული. აქედანვე უნდა შეექმნათ პირობები პარტიული განათლების ქსელში ახალი სასწავლო წლის ორგანიზებულად დაწყებისათვის.

ორდენები და მედლები მოწინავე მეხილეებს

სტალინირი. (საკ. კორ.). სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით 1948 წელს ხარისხოვანი ხილის უხვი მოსავლის მიღებისათვის დაჯილდოებული არიან სტალინირის, ზნაურისა და ლენინგორის რაიონების მოწინავე მეხილეები.

ამ დღეებში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით დაჯილდოებულთ ორდენები და მედლები გადასცა მშრომელთა დეპუტატების სამხრეთ ოსეთის საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. ი. კულუხოვმა.

ლენინის ორდენი გადაეცა სტალინირის რაიონის სოფელ ერედვის კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ი. ქრისტესიაშვილს, რომელმაც შარშან კოლმეურნეობის 5,5 ჰექტარი ბაღის თვითეულ ჰექტარზე 181,2 ცენტნერი ხილი მოიყვანა. ლენინის ორდენი მიიღო აგრეთვე ზნაურის რაიონის სოფელ თორგანეულის კოსტა ხეთაგუროვის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლურმა გ. ჯაგაევმა.

შრომის წითელი დროშის ორდენები გადაეცათ სტალინირის რაიონის სოფელ ქსუისის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირს ა. ტოლიაშვილს, ზნაურის რაიონის სოფელ მალდის კოლმეურნეობა „ახალი გზის“ მერგოლურს გ. ალბოროვს, ლენინგორის რაიონის სოფელ იკოთის კოლმეურნეობა „ლენინის გზითის“ მერგოლურს მაგდანა გვრიტიშვილს. მედალი „შრომითი მამაცობისათვის“ გადაეცა 4 კაცს.

დაჯილდოებულთა სახელით სიტყვები წარმოთქვეს ი. ქრისტესიაშვილმა, ა. ტოლიაშვილმა, ნ. ნიაურმა, გ. ჯაგაევმა. მათ მადლობა გადაუხადეს პარტიას, მთავრობას, დიდ სტალინს კოლმეურნე გლეხობაზე მზრუნველობისათვის და პირობა დადეს, რომ მომავალში უფრო მეტი მონდომებით იბრძოლებენ მეხილეობის განსავითარებლად.

საბჭოთა კავშირში

ყირგიზულ ენაზე გამოიცა ვ. ი. ლენინის ნაწარმოებნი

ფრუნზე, (საკდესი). ყირგიზეთის სახელმწიფო გამომცემლობამ გამოსცა ყირგიზულ ენაზე თარგმნილი ვ. ი. ლენინის ბროშურები: „პროლეტარიატის ამოცანათა შესახებ მიმდინარე რევოლუციაში“ და „პროლეტარიატისა და გლეხობის რევოლუციური დემოკრატიული დიქტატურა“. ბროშურა გამოცემულია მასობრივი ტირაჟით.

ი. ბ. სტალინის სახლი-მუზეუმი ნარიმში

ციმბირის ძველ დაბა ნარიმს 350 წელი შეუსრულდა. ჭაობებსა და უღრან ტაიგაში მიკარგული ეს დაბა მრავალი წლის განმავლობაში მეფის მთავრობის პოლიტიკურ დამნაშავეთა გადასახლების ადგილი იყო. ნარიმში გადასახლებული იყვნენ ი. მ. სვერდლოვი და ვ. ვ. კუიბიშევი. 1912 წელს იქ გადასახლებული იყო ი. ბ. სტალინი.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში ნარიმმა სახე იცვალა. ნარიმში ახლა არის შვიდწლიანი სკოლა, კლუბი, ბიბლიოთეკა, საავადმყოფო და სამრეწველო დაწესებულებანი — ხე-ტყის და თევზდამამუშავებელი ქარხნები.

ერთი წლის წინათ აქ დიდი ზეიმით გაიხსნა ამხანაგ ი. ბ. სტალინის სახლი-მუზეუმი: სამ დარბაზში თავმოყრილია ასობით ექსპონატი. ერთი წლის განმავლობაში მუზეუმი ინახულა 10 ათასზე მეტმა ექსკურსანტმა საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხიდან.

მნახველთა განსაკუთრებით დიდ ინტერესს იწვევს მუზეუმის ეზოში მდებარე სიყვარულით დაცული პატარა სახლი, სადაც ამხანაგი ი. ბ. სტალინი ცხოვრობდა. შიდამორთულობა აღდგენილია ისე, როგორც იყო 1912 წელს: უბრალო საწოლი, ორი მაგიდა, სამი სკამი და ზანდუკი, რომლითაც ი. ბ. სტალინი მოვიდა ნარიმში.

განზრახულია აგრეთვე იმ სახლის რესტავრირება, რომელშიაც ცხოვრობდა ნარიმში გადასახლებული ვ. ვ. კუიბიშევი.

რუსული ხელოვნების საგანძური

ლენინგრადი, (საკდესი). ნახევარი წლის განმავლობაში რუსეთის მუზეუმი 276 ათასმა ექსკურსანტმა დაათვალიერა. მათ შორის ბევრნი ჩამოსული იყვნენ ჩვენი ქვეყნის სხვა ქალაქებიდან.

მუზეუმმა რამდენიმე ახალი გამოფენა გახსნა. დიდი წარმატებით სარგებლობს ა. ს. პუშკინის დაბადების 150 წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენა. ი. ი. შიშკინის ნაწარმოებთა გამოფენაზე წარმოდგენილია მხატვრის სურათები არა მარტო რუსეთის მუზეუმის ფონდებიდან, არამედ ტრეტიაკოვის გალერეიდანაც და ჩვენი ქვეყნის სხვა სამხატვრო მუზეუმებიდან, აგრეთვე კერძო კრებულებიდან.

ხდება მუზეუმის ფონდების შევსება. ამას წინათ სტალინური პრემიის ლაურეატმა მხატვარმა ა. ა. პლასტოვმა დაამთავრა დიდი სურათი „ლენინი რაზლივში“. მუზეუმის საბჭოთა განყოფილებას გადაეცა სტალინური პრემიის ლაურეატის მხატვარ ვ. პ. ეფანოვის მიერ შესრულებული ფერწერული პორტრეტი ა. ა. ჟდანოვისა

გუშინ, სამი თვის შეწყვეტის შემდეგ, კვლავ გაიხსნა X-XVII საუკუნეთა ძველი რუსული ხელოვნების განყოფილება. ექსპოზიცია გამდიდრებულია ფერწერის, გამოყენებითი ხელოვნებისა და ძველი რუსეთის მხატვრული კულტურის ახალი მასალებით.



სურათზე: სახელმწიფო დრამატული თეატრი ჩრდილოეთ ოსეთის ასსრ დედაქალაქ ძაუჯიკაუში. აქ 1920 წლის 17 ნოემბერს ამხანაგმა ი. ბ. სტალინმა გამოაქვეყნა დეკლარაცია მთიელთა ავტონომიური რესპუბლიკის შექმნის შესახებ.

(საკდესის ფოტოქრონიკა).

მოსკოვის ოლქის ნარმაგებანი კოლმეურნეობათა ელექტროფიკაციის დარგში

მოსკოვის ოლქის კოლმეურნეებმა ქალაქ მოსკოვისა და მოსკოვის ოლქის სამეფო სამრეწველო საწარმოთა ელექტროენერგიის დახმარებით დიდ წარმატებებს მიაღწიეს სოფლის მეურნეობის ელექტროფიკაციის დარგში. ელექტროფიკაციის 1949 წლის სახელმწიფო გეგმა კოლმეურნეობებმა ვადამდე შეასრულეს.

მიმდინარე წლის ექვსი თვის განმავლობაში ოლქის რაიონებში ამენებულია 29 სასოფლო ელექტროსადგური და ელექტროფიცირებულია 859 კოლმეურნეობა. ოლქის ექვსმა რაიონმა — ჟუკოვსკოეს, ოზერის, კოლომნის, დმიტროვის, კლინისა და პუშკინოს რაიონებმა წელს დაამთავრეს კოლმეურნეობათა მთლიანი ელექტროფიკაცია. სულ მოსკოვის ოლქში 30 რაიონმა დაამთავრა ყველა კოლმეურნეობის მთლიანი ელექტროფიკაცია. ელექტროფიკაციის საშუალებით წარმატებით მიმდინარეობს ბერეის, სოლნეჩნოგორსკის, კორობოვისა და ლუხოვიცის რაიონებში.

ამჟამად მოსკოვის ოლქის კოლმეურნეობებში მუშაობს 458 ჰიდროელექტროსადგური და თბოელექტროსადგური, 18 ათასი კილომეტრი მაღალვოლტიანი და დაბალვოლტიანი ელექტროხაზები, 3.487 სატრანსფორმატორო ქვესადგური. ელექტროფიცირებულია 4.643 კოლმეურნეობა, ყველა მტს-ი და 124 საბჭოთა მეურნეობა. ელექტრობა მიიღო კოლმეურნეთა 210 ათასმა სახლმა და ათასობით კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებამ. ელექტროფიკაციის ბაზაზე ფართოდ გაჩაღდა მუშაობა სოფლის მეურნეობის კომპლექსური მექანიზაციის დარგში — საკვების მომზადება, წყლის ავტომატურად დალევნება, ელექტროწველა, მოწყობილია 3.420 ელექტროსალეწი პუნქტი.

ქალაქ მოსკოვისა და მოსკოვის ოლქის საშეფო საწარმოები უფრო და უფრო მეტ დახმარებას უწევენ კოლმეურნეობებს. სოფლის მეურნეობის ელექტროფიკაციის დარგში მნიშვნელოვან მუშაობას ეწევიან მოსკოვის სარკინიგზო, ფრუნზეს, სტალინის, ყდანოვის, ძერჟინსკისა და კრასნაია პრესნიას რაიონების და მოსკოვის ოლქის ქალაქების — კოლომნის, პეროვოს და ტუშინოს საწარმოები.

სტალინის სახელობის ქარხანამ, ქარხნებმა „სერპ ი მოლოტმა“, „ელექტროსტალმა“, „მოსკაბელმა“, „იზოლატორმა“, დულევოს ფაიფურის, კოლომის მძიმე დაზგების, სატრანსფორმატორო, საპროექტორო ქარხნებმა, მოსკოვის საბჭოს სამმართველოს ქარხანამ, „მოსობლელექტრომ“, საბჭოების სასახლის მშენებლობამ და სხვებმა დიდი დახმარება გაუწიეს კოლმეურნეობებს სასოფლო ელექტროსადგურების მშენებლობისა და კოლმეურნეობათა ელექტროფიკაციის საქმეში, მასალების ეკონომიის ხარჯზე სოფლის ელექტროფიკაციის საჭიროებისათვის გეგმის გადამეტებით დაამზადეს გენერატორები, ტურბინები, მოტორები, ტრანსფორმატორები და ხელსაწყოები.

ქალაქ მოსკოვისა და მოსკოვის ოლქის საშეფო რაიონების — კიროვის, სოვეტსკის, ოქტომბრის, კუნცევოს, კრასნოგორსკის რაიონებისა და ქალაქ ორეხოვო-ზუევოს საშეფო სამრეწველო საწარმოების კოლექტივებმა დაამთავრეს საშეფო სასოფლო რაიონების მთლიანი ელექტროფიკაცია და ვალდებულება იკისრეს დახმარება გაუწიონ მოსკოვის ოლქის სხვა რაიონებს კოლმეურნეობათა ელექტროფიკაციაში.

კოლმეურნეობები და საშეფო საწარმოთა კოლექტივები ერთმანეთს ეჯიბრებიან მოსკოვის ოლქის ყველა კოლმეურნეობის მთლიანი ელექტროფიკაციის რაც შეიძლება მალე დამთავრებისათვის. (საკდესი).

ნ. ა. შჩორსის ნეშტის გადასვენება

კუიბიშევი, (საკდესი). კუიბიშევში ახალ სასაფლაოზე გადაასვენეს უკრაინის სამოქალაქო ომის ლეგენდარული გმირის ნ. ა. შჩორსის ნეშტი.

შჩორსი მამაცთა სიკვდილით დაეცა 1919 წლის 30 აგვისტოს კოროსტენთან, სადაც მისი დივიზია სასტიკ ბრძოლებს ეწეოდა დენიკინელთა, პეტლიურელთა და პოლონელ თეთრგვარდიელთა წინააღმდეგ. გმირის ცხედარი ქალაქ სამარაში წაასვენეს და 1919 წლის სექტემბერში ქალაქის ძველ სასაფლაოზე დაკრძალეს.

ნაშუადღევის ორ საათზე უკრაინელი ხალხის სახელოვანი შვილის პატივსაცემად მოვიდნენ კუიბიშევის მშრომელები, საბჭოთა არმიის, საოლქო და საქალაქო ორგანიზაციების წარმომადგენლები. კიევიდან ჩამოვიდა უკრაინის სსრ დელეგაცია, რომლის შემადგენლობაში არიან შჩორსის თანამებრძოლები — მისი დივიზიის ყოფილი კომისარი, უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის პარტიული ორგანიზაციის მდივანი ვ. ნ. ისაკოვიჩი, ტარაშჩანის პოლკის ყოფილი მეთაური, ახლა გენერალ-ლეიტენანტი ი. ი. პეტროვი.

საკავშირო კ. პ. (ბ) კუიბიშევის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ამხ. ეფრემოვმა გახსნა სამგლოვიარო მიტინგი და აღნიშნა, თუ რა დიდი დამსახურება მიუძღვის უშიშარ ბოლშევიკ მეთაურს უცხოელი ინტერვენტებისა და შინაური კონტრრევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლაში, ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში.

სიტყვები წარმოთქვეს საკავშირო კ. პ. (ბ) კუიბიშევის საოლქო კომიტეტის მდივანმა ამხ. დერევნინმა, უკრაინის სსრ დელეგაციის ხელმძღვანელმა ამხ. ისაკოვიჩმა, კუიბიშევის საქალაქო აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ ბალაშოვმა და სხვებმა.

მიტინგის შემდეგ სამგლოვიარო მარშის და სამხედრო სალუტის გუგუნში შჩორსის კუბო ჩაუშვეს სამარეში.

უკრაინის სსრ დელეგაციამ უკრაინის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭოს და უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით გვირგვინებით შეამკო საფლავი. საფლავი შეამკეს კუიბიშევის მრავალი საზოგადოებრივი ორგანიზაციისა და მშრომელთა კოლექტივების გვირგვინებით.

მინიატურული რადიოსადგური დამხარისხებელი სადგურებისათვის

ლენინგრადი. (საკდესი). ლენინგრადის დამხარისხებელ სადგურზე მოსკოვიდან საბარგო მატარებელი მოვიდა. მატარებლის შემადგენლობასთან გამოვიდა ვაგონების ამწერი. მას არც ფანქარი აქვს და არც ქაღალდი. მათ ნაცვლად ამწერს მკერდზე ჰკიდია პატარა სქელი წიგნაკის მსგავსი ხელსაწყო. ეს არის მინიატურული რადიოსადგური, რომლის კონსტრუქციაც შეიმუშავა სატრანსპორტო აკადემიის ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკმა ი. მ. დიკოვსკიმ. ამწერი მიკროფონით აცნობებს ვაგონების ნომრებს უშუალოდ საბარგო კონტორას.

ეს ხელსაწყო დიდ დახმარებას გაუწევს დამხარისხებელი სადგურის მუშაკებს ვაგონების ბრუნვის დაჩქარებისათვის ბრძოლაში. სადგურზე შემადგენლობის აწერის ნორმა 16 წუთია. რადიოკავშირგაბმულობის გამოყენება ამ დროს დაახლოებით ერთიორად შეამცირებს.

აპარატი სულ 3,6 კილოგრამს იწონის და შეუძლია განუწყვეტლივ იმუშაოს 8 საათის განმავლობაში.

უმაღლესი პილოტაჟის ფიგურების შემსრულებელი ავიამოდელი

სსრ კავშირის ავიაციის ხელმძღვანელობა ნებაყოფლობითი საზოგადოების ცენტრალური საავიამოდელო ლაბორატორიის ინჟინერ-კონსტრუქტორმა იური ხუხრამ დაამთავრა უმაღლესი პილოტაჟის ფიგურების შემსრულებელი პირველი ავიამოდელის აგება.

ეს მისი ორიგინალური კონსტრუქციის მეთორმეტე მოდელია. 1947 წელს ახალგაზრდა ავიაკონსტრუქტორის „მფრინავმა ნაკ-ამფიბიამ“ მოახდინა 70-კილომეტრიანი გადაფრენა მოსკოვის ოლქის მრავალ ქალაქსა და სოფელზე.

ახალ მოდელს ისევე, როგორც თვითმფრინავს, აქვს მოსაბრუნებელი და სამაღლის საჭე და ელერონები, ფუზელაჟს აქვს ხელსაწყო, რომელიც ავტომატურად მართავს მას ფრენის დროს.

კონსტრუქტორის გამოანგარიშებით, მოდელს შეუძლია ავიდეს სხვადასხვა სიმაღლეზე და სპეციალური ხელსაწყოს დახმარებით შეასრულოს უმაღლესი პილოტაჟის ფიგურები: „კასრი“, „მკვდარი მარყუჟი“ და სხვ. ამასთან მათი შესრულების წესი შეიძლება წინასწარ დადგენილ იქნას აეროდრომზე. (საკდესი).

ჩაის კრეფა საბჭოთა მეურნეობებში

საქართველოს საბჭოთა მეურნეობებში ივლისის მეორე ხუთდღიურში, წინა ხუთდღიურთან შედარებით, თითქმის სამჯერ მეტი ჩაის ფოთოლი მოიკრიფა. წლიური გეგმები 40-54 პროცენტითაა შესრულებული ნასაკირალის, წულუკიძის, დიდი ჭყონის, ლესიჭინის, ინგირის, ნარაზენის, ხეცერის, წალენჯიხის, აჩიგვარისა და მოქვის საბჭოთა მეურნეობებში.

გონიოს ჩაის საბჭოთა მეურნეობაში წლიური გეგმა 30 პროცენტითაა შესრულებული, სალიბაურის — 34,3, ჩაქვის — 35,6, ოჩხამურის — 35,4, ცეცხლაურის — 33,6, ნატანების — 37, ლაითურის — 37,5, აჭარის ჩაის ტექნიკუმის მეურნეობაში 37 პროცენტით.

ივლისის დავალების შესრულებაში შედარებით წინ არიან მოქვის, აჩიგვარის, ხეცერის, ნარაზენის, ინგირის, ლესიჭინის, დიდი ჭყონის და სხვა საბჭოთა მეურნეობები.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

დასახლებული პუნქტების გადარქმევა და ტერიტორიული ცვლილებანი დმანისისა და მარნეულის რაიონების ზოგიერთ სასოფლო საბჭოში

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 12 ივლისის ბრძანებულებით დმანისის რაიონში გადარქმეულია ზოგიერთი სოფელი და სასოფლო საბჭო და შექმნილია ახალი სასოფლო საბჭოები.

ყალამშის სასოფლო საბჭოს სოფლებს ეწოდათ: ყალამშას — სოფელი განთიადი, მოჯას — სოფელი ჯავახი, ხოლო ყალამშის სასოფლო საბჭოს — განთიადის სასოფლო საბჭო;

კაშკათალის სასოფლო საბჭოს სოფლებს ეწოდათ: კაშკათალას — სოფელი საკირე, ჯარაიორს — სოფელი გორა, ხოლო კაშკათალის სასოფლო საბჭოს — საკირის სასოფლო საბჭო;

დემირბულახის სასოფლო საბჭოს სოფლებს ეწოდათ: დემირბულახს — სოფელი სარკინეთი, ამბარლოს — სოფელი განახლება და ქეივან-ბულგასონს — სოფელი ვილისპირი, ხოლო დემირბულახის სასოფლო საბჭოს — სარკინეთის სასოფლო საბჭო.

ოროზმანის სასოფლო საბჭოს სოფლებს ეწოდათ: არმუთლოს — სოფელი პანტიანი, ყარაქლისს — სოფელი ვაკე და მამუთლოს — სოფელი მთის ძირი;

დიდი დმანისის სასოფლო საბჭოს სოფელ გორუნჯუს ეწოდა სოფელი მაშავერა; ყარაბულახის სასოფლო საბჭოს სოფელ ბუსუკალას — სოფელი ქარიანი;

გომარეთის სასოფლო საბჭოს სოფლებს ეწოდათ: მამლოსფელს — სოფელი მამული, ხოლო ქართველების კაკლიანს — სოფელი კაკლიანი;

განთიადის სასოფლო საბჭოს გამოეყო სოფლები: ყიზილქილისა, შინდლარი, აზერბაიჯანული კაკლიანი, ხოლო საჯის სასოფლო საბჭოს — სოფელი ორმაშენი და მათგან შეექმნა ყიზილქილისის სასოფლო საბჭო ცენტრით სოფელ ყიზილქილისაში.

დმანისის სასოფლო საბჭოს გამოეყო სოფლები: კამარლო დ შახმარლო, ხოლო ყარაბულახის სასოფლო საბჭოს — სოფელი ქარიანი და მათგან შეიქმნა კამარლოს სასოფლო საბჭო ცენტრით სოფელ კამარლოში.

* * *

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ამავე ბრძანებულებით მარნეულის რაიონის აშაღასარალის სასოფლო საბჭოს გამოეყო სოფლები: შულავერი, დაშთაფა, იმირი, ყირმიზქენდი, ბუდიონოვკა, ქვემო ყულარი, ზემო ყულარი, ყულარის ღვინის საბჭოთა მეურნეობისა და ცხეხსაშენი №73-ის ტერიტორია და მათგან შეიქმნა შულავერის სასოფლო საბჭო ცენტრით სოფელ შულავერში.

აშაღასარაღლის სასოფლო საბჭოს ეწოდა არაფლოს სასოფლო საბჭო და მას მიეკუთვნა სოფლები: არაფლო, ხლიმამუდლო, ენიქენდი, კირიხლო, აშაღასარალი, ზემო სარალი და სეიდხოჯალო. (საკდესი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სს რესპუბლიკაში სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს საბჭოთა მეურნეობების მუშაკების ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ

(დასასრული. იხ. „კომუნისტი“ № 138, 139)

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1948 წლის 25 მაისის ბრძანებულების შესაბამისად **ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთლის და ციტრუსოვანი ნაყოფის** უხვი მოსავლის მიღებისათვის, როცა საბჭოთა მეურნეობებმა შეასრულეს სახელმწიფოსათვის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ჩაბარების 1948 წლის გეგმა და მთლიანად უზრუნველყვეს 1949 წლის საგაზაფხულო თესვა ყველა კულტურის თესლით, **დაჯილდოებულ იქნან:**

მედლით „შრომითი მამაცობისათვის“

1. **აბუსერიძე** ავქსენტი ანტონის-ძე — ქობულეთის რაიონის ლენინის სახელობის ჩაქვის საბჭოთა მეურნეობის ბრიგადირი.

2. **აზაროვა** მარიამ ვიქტორის ასული — მახარაძის რაიონის კიროვის სახელობის ლაითურის საბჭოთა მეურნეობის მუშა.

3. **ანჯაფარია** მადუშა დანილის ასული — ჩხოროწყუს რაიონის ლესიჭინის საბჭოთა მეურნეობის მუშა.

4. **ასეევა** მარიამ ივანეს ასული — მახარაძის რაიონის ურეკის საბჭოთა მეურნეობის მუშა.

5. **ბაგრინცოვა** მატრონა კუზმას ასული — ზუგდიდის რაიონის ნარაზენის საბჭოთა მეურნეობის მუშა.

6. **ბარკარია** ივანე ნიკიფორეს-ძე — გალის რაიონის კოხორის საბჭოთა მეურნეობის მუშა.

7. **ბენი** ოლღა ივანეს ასული — წალენჯიხის რაიონის ბერიას სახელობის საბჭოთა მეურნეობის მუშა.

8. **ბირიუკოვა** ნატალია მაქსიმეს ასული—ქობულეთის რაიონის სტალინის სახელობის ოჩხამურის საბჭოთა მეურნეობის მუშა.

9. **ბრესლავსკაია** ელენე სიმონის ასული — გეგეჭკორის რაიონის დიდიჭყონის საბჭოთა მეურნეობის მუშა.

10. **ბულიკინა** მარიამ ეგორის ასული — გეგეჭკორის რაიონის დიდიჭყონის საბჭოთა მეურნეობის მუშა.

11. **ბურკოვა** ანა ნიკოლოზის ასული — გალის რაიონის მიქოიანის სახელობის აჩიგვარის საბჭოთა მეურნეობის მუშა.

12. **ვალუისკაია** აკულინა ვასილის ასული — ზუგდიდის რაიონის ნარაზენის საბჭოთა მეურნეობის მუშა.

13. **ვასილჩენკო** ლარისა პეტრეს ასული — ჩხოროწყუს რაიონის ლესიჭინის საბჭოთა მეურნეობის მუშა.

14. **ვესელოვსკაია** მარიამ გრიგოლის ასული — მახარაძის რაიონის ნასაკირალის საბჭოთა მეურნეობის მუშა.

15. **ვოლოშინა** ეკატერინე თევდორეს ასული — წალენჯიხის რაიონის ბერიას სახელობის საბჭოთა მეურნეობის მუშა.

16. **ვიაზნიკოვა** მარიამ გრიგოლის ასული — მახარაძის რაიონის ნასაკირალის საბჭოთა მეურნეობის მუშა.

17. **გალიევა** ალექსანდრა კაიუმის ასული — ზუგდიდის რაიონის ხეცერის საბჭოთა მეურნეობის მუშა.

18. **გალიცინა** ანა როდიონის ასული — ქობულეთის რაიონის სტალინის სახელობის ოჩხამურის საბჭოთა მეურნეობის მუშა.

19. **გოგოლაძე** აპოლონ ნანიკის-ძე—ბათუმის რაიონის სალიბაურის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი.

20. **გოგიტიძე** თევრათ მეჯიდის-ძე—ქობულეთის რაიონის ბერიას სახელობის ალამბარის საბჭოთა მეურნეობის განყოფილების აგრონომი.

21. **გლუშჩენკო** ანტონინა ნიკიტას ასული — ზუგდიდის რაიონის ხეცერის საბჭოთა მეურნეობის მუშა.

22. **გრიგორენკო** ნადეჟდა ალექსანდრეს ასული — ბათუმის რაიონის სალიბაურის საბჭოთა მეურნეობის ბრიგადირი.

23. **დემჩენკო** ანასტასია იოსების ასული — ზუგდიდის რაიონის ხეცერის საბჭოთა მეურნეობის მუშა.

24. **ჯაფარიძე** მირდან ბესარიონის-ძე — ზუგდიდის რაიონის ბერიას სახელობის საბჭოთა მეურნეობის ინგირის საბჭოთა მეურნეობის ბრიგადირი.

25. **ჯანაშია** მელენტი თევდორეს-ძე — წალენჯიხის რაიონის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი.

26. **ჯოჯუა** იროდი სამსონის-ძე — ზუგდიდის რაიონის ბერიას სახელობის ინგირის საბჭოთა მეურნეობის მექანიკოსი.

27. **ძიუბა** ანა პავლეს ასული — მახარაძის რაიონის ნასაკირალის საბჭოთა მეურნეობის მუშა.

28. **დობორჯგინიძე** ვიქტორ შალვას-ძე — მახარაძის რაიონის ურეკის საბჭოთა მეურნეობის ბრიგადირი.

29. **ებანოიძე** მიხეილ რაჟდენის-ძე—ქობულეთის რაიონის სტალინის სახელობის ოჩხამურის საბჭოთა მეურნეობის აგრონომი.

30. **ელფიმოვა** მარიამ დანილის ასული — გეგეჭკორის რაიონის დიდიჭყონის საბჭოთა მეურნეობის მუშა.

31. **ესკოვა** ელისაბედ გრიგოლის ასული — ბათუმის რაიონის სალიბაურის საბჭოთა მეურნეობის მუშა.

32. **ეუკოვა** ოლიმპიადა იაკობის ასული — მახარაძის რაიონის ნასაკირალის საბჭოთა მეურნეობის მუშა.

33. **ზაპლებნაია** ვერა გრიგოლის ასული — მახარაძის რაიონის კიროვის სახელობის ლაითურის საბჭოთა მეურნეობის ბრიგადირი.

34. **ზინინა** ელისაბედ ნიკიტას ასული — მახარაძის რაიონის ურეკის საბჭოთა მეურნეობის მუშა.

35. **ზინჩენკო** ქსენია გაბრიელის ასული—ქობულეთის რაიონის ლენინის სახელობის ჩაქვის საბჭოთა მეურნეობის მუშა.

36. **ზორკინა** ზოია ვასილის ასული—ქობულეთის რაიონის სტალინის სახელობის ოჩხამურის საბჭოთა მეურნეობის მუშა.

37. **კაბაკი** ივანე ნიკიფორეს-ძე — ბათუმის რაიონის ახალშენის საბჭოთა მეურნეობის მუშა.

38. **ქანთარია** თამარ იასონის ასული — წალენჯიხის რაიონის ბერიას სახელობის საბჭოთა მეურნეობის მუშა.

39. **კაცია** ვენერა პავლეს ასული — ჩხოროწყუს რაიონის ლესიჭინის საბჭოთა მეურნეობის მუშა.

40. **კაჭარავა** ბიჭიკო გიორგის-ძე — მახარაძის რაიონის ურეკის საბჭოთა მეურნეობის ბრიგადირი.

41. **კვაჭაძე** ალექსანდრე სიოს-ძე — ბათუმის რაიონის სალიბაურის საბჭოთა მეურნეობის მთავარი აგრონომი.

42. **კვერხელიძე** სოფიო ილიას ასული — ბათუმის რაიონის ახალშენის საბჭოთა მეურნეობის მუშა.

43. **კეჭაყმაძე** სევერიან ალექსის-ძე — მახარაძის რაიონის კიროვის სახელობის ლაითურის საბჭოთა მეურნეობის ავტოტრანსპორტის უფროსი.

44. **კლიუჩანსკაია** ელენე ანტონის ასული — გეგეჭკორის რაიონის დიდიჭყონის საბჭოთა მეურნეობის მუშა.

45. **კოვალიოვა** ირინე არტემის ასული — მახარაძის რაიონის ნასაკირალის საბჭოთა მეურნეობის მუშა.

46. **კოლესნიჩენკო** ზინაიდა დიმიტრის ასული — ზუგდიდის რაიონის ხეცერის საბჭოთა მეურნეობის მუშა.

47. **კოლგანოვა** ელისაბედ ივანეს ასული — წალენჯიხის რაიონის ბერიას სახელობის საბჭოთა მეურნეობის მუშა.

48. **კოსტავა** შოთა გრიგოლის-ძე — მახარაძის რაიონის კიროვის სახელობის ლაითურის საბჭოთა მეურნეობის ბრიგადირი.

49. **კოროლი** სერაფიმა პეტრეს ასული — წალენჯიხის რაიონის ბერიას სახელობის საბჭოთა მეურნეობის მუშა.

50. **კოროტჩი** ტატიანა დანილის ასული — ზუგდიდის რაიონის ბერიას სახელობის ინგირის საბჭოთა მეურნეობის მუშა.

51. **ქორჩილავა** შალვა მიხეილის-ძე — ქობულეთის რაიონის ლენინის სახელობის ჩაქვის საბჭოთა მეურნეობის განყოფილების გამგე.

52. **კრავჩენკო** მარიამ ივანეს ასული — ზუგდიდის რაიონის ხეცერის საბჭოთა მეურნეობის მუშა.

53. **კურდღლიანი** კირკორ უნანის-ძე — მახარაძის რაიონის კიროვის სახელობის ლაითურის საბჭოთა მეურნეობის მუშა.

54. **კუტალია** მავრა აკაკის ასული—ზუგდიდის რაიონის ხეცერის საბჭოთა მეურნეობის მუშა.

55. **კუტალია** ეუნა გრიგოლის ასული — ზუგდიდის რაიონის ხეცერის საბჭოთა მეურნეობის მუშა.

56. **კუჩერენკო** ნადეჟდა ნიკიფორეს ასული—წალენჯიხის რაიონის ბერიას სახელობის საბჭოთა მეურნეობის მუშა.

57. **ლებედენკო** მარიამ პეტრეს ასული — ზუგდიდის რაიონის ბერიას სახელობის ინგირის საბჭოთა მეურნეობის მუშა.

58. **ლევაშოვი** ვლადიმერ სტეფანეს-ძე—გალის რაიონის კოხორის საბჭოთა მეურნეობის ბრიგადირი.

59. **ლეპსაია** ვალიკო ბიდგას-ძე—გალის რაიონის კოხორის საბჭოთა მეურნეობის ბრიგადირი.

60. **ლოკტევა** ქსენია ვასილის ასული — წალენჯიხის რაიონის ბერიას სახელობის საბჭოთა მეურნეობის მუშა.

61. **ლუშჩი** ეკატერინე მაქსიმეს ასული — წალენჯიხის რაიონის ბერიას სახელობის საბჭოთა მეურნეობის მუშა.

62. **ლისაკოვა** ულიანა გრიგოლის ასული — მახარაძის რაიონის ნასაკირალის საბჭოთა მეურნეობის მუშა.

63. **მარუშჩაკი** მარიამ ივანეს ასული — მახარაძის რაიონის ნასაკირალის საბჭოთა მეურნეობის მუშა.

64. **მეშჩერიაკოვა** ვალენტინა ნიკოლოზის ასული — ზუგდიდის რაიონის ხეცერის საბჭოთა მეურნეობის მუშა.

65. **მჟავანაძე** მევლუდ ჰუსეინის-ძე — ქობულეთის რაიონის ბერიას სახელობის ალამბარის საბჭოთა მეურნეობის მუშა.

66. **მოსკვიტინი** სიმონ ივანეს-ძე — ზუგდიდის რაიონის ბერიას სახელობის ინგირის საბჭოთა მეურნეობის ტრაქტორისტი.

67. **მოტოვნიკოვა** ალექსანდრა ივანეს ასული — ზუგდიდის რაიონის ბერიას სახელობის ინგირის საბჭოთა მეურნეობის მუშა.

68. **ნაფეტვარიძე** ილია რაფიელის-ძე — ბათუმის რაიონის სალიბაურის საბჭოთა მეურნეობის ბრიგადირი.

69. **ნიჩაევა** ნატალია მიხეილის ასული — მახარაძის რაიონის კიროვის სახელობის ლაითურის საბჭოთა მეურნეობის მუშა.

70. **ონიშჩუკი** მატრონა ტარასის ასული — ქობულეთის რაიონის ბერიას სახელობის ალამბარის საბჭოთა მეურნეობის მუშა.

71. **ოსაჩუკი** აგაფია არტემის ასული — გალის რაიონის კოხორის საბჭოთა მეურნეობის მუშა.

72. **პიგარკოვა** ეკატერინე პავლეს ასული — მახარაძის რაიონის ნასაკირალის საბჭოთა მეურნეობის მუშა.

73. **პისიკაკი** ანასტასია ვასილის ასული — ჩხოროწყუს რაიონის ლესიჭინის საბჭოთა მეურნეობის მუშა.

74. **პოტიკიანი** ანა სერგის ასული — მახარაძის რაიონის ნასაკირალის საბჭოთა მეურნეობის მუშა.

75. **პრიხოდკო** ელენე დანიელის ასული — ჩხოროწყუს რაიონის ლესიჭინის საბჭოთა მეურნეობის მუშა.

76. **პროსტაკოვა** ანა სტეფანეს ასული — მახარაძის რაიონის ნასაკირალის საბჭოთა მეურნეობის მუშა.

77. **პუსტოვოი** ვასილ პორფილეს-ძე — მახარაძის რაიონის ნასაკირალის საბჭოთა მეურნეობის ბრიგადირი.

78. **რუდა** ქსენია თომას ასული — ქობულეთის რაიონის ლენინის სახელობის ჩაქვის საბჭოთა მეურნეობის მუშა.

79. **რუდუმანი** მარიამ ვასილის ასული — ქობულეთის რაიონის სტალინის სახელობის ოჩხამურის საბჭოთა მეურნეობის მუშა.

80. **რიბალჩენკო** ანა ლეონტის ასული — ქობულეთის რაიონის ლენინის სახელობის ჩაქვის საბჭოთა მეურნეობის ბრიგადირი.

81. **რისიკოვა** თეკლე მირონის ასული — ქობულეთის რაიონის სტალინის სახელობის ოჩხამურის საბჭოთა მეურნეობის მუშა.

82. **სავინა** ანისია არხიპის ასული — ქობულეთის რაიონის ლენინის სახელობის ჩაქვის საბჭოთა მეურნეობის ბრიგადირი.

83. **საფრონოვა** ზინაიდა დიმიტრის ასული — გალის რაიონის მიქოიანის სახელობის აჩიგვარის საბჭოთა მეურნეობის მუშა.

84. **სვეუინოვა** ანა თევდორეს ასული — მახარაძის რაიონის კიროვის სახელობის ლაითურის საბჭოთა მეურნეობის მუშა.

85. **სევასტიანოვა** ნატალია გრიგოლის ასული — ზუგდიდის რაიონის ბერიას სახელობის ინგირის საბჭოთა მეურნეობის მუშა.

86. **სერგიენკო** მელანია პეტრეს ასული — მახარაძის რაიონის ურეკის საბჭოთა მეურნეობის მუშა.

87. **სიჯინავა** ვენერა ემელიანეს ასული — ჩხოროწყუს რაიონის ლესიჭინის საბჭოთა მეურნეობის მუშა.

88. **სკვორცოვა** ქსენია დენისის ასული — ქობულეთის რაიონის სტალინის სახელობის ოჩხამურის საბჭოთა მეურნეობის მუშა.

89. **სკლიაროვა** მატრონა საველის ასული — მახარაძის რაიონის ურეკის საბჭოთა მეურნეობის მუშა.

90. **სხულუხია** აკაკი ესტატეს-ძე — ზუგდიდის რაიონის ბერიას სახელობის ინგირის საბჭოთა მეურნეობის განყოფილების გამგე.

91. **თავართქილაძე** პარმენ სანდროს-ძე — ქობულეთის რაიონის სტალინის სახელობის ოჩხამურის საბჭოთა მეურნეობის განყოფილების გამგე.

92. **ტოლოკოლნიკოვა** გალინა იაკობის ასული — მახარაძის რაიონის ნასაკირალის საბჭოთა მეურნეობის მუშა.

93. **ტოფჩიევა** მარიამ ტერენტის ასული — მახარაძის რაიონის ნასაკირალის საბჭოთა მეურნეობის მუშა.

94. **ტრიგუბენკო** ვერა ალექსის ასული — მახარაძის რაიონის ურეკის საბჭოთა მეურნეობის მუშა.

95. **ტროფიმენკო** ივანე ვიქტორის-ძე — ქობულეთის რაიონის სტალინის სახელობის ოჩხამურის საბჭოთა მეურნეობის ბრიგადირი.

96. **ტრუფანოვა** ანა დიმიტრის ასული — წალენჯიხის რაიონის ბერიას სახელობის საბჭოთა მეურნეობის მუშა.

97. **ფარტუშნიაკი** ლუბა მიტროფანეს ასული — წალენჯიხის რაიონის ბერიას სახელობის საბჭოთა მეურნეობის მუშა.

98. **ფედოროვა** ელენე ათანასეს ასული — მახარაძის რაიონის ნასაკირალის საბჭოთა მეურნეობის მუშა.

99. **ხატკინა** ალექსანდრა ივანეს ასული — ზუგდიდის რაიონის ბერიას სახელობის ინგირის საბჭოთა მეურნეობის მუშა.

100. **ხუბუკელაშვილი** ვენერა ერმალოზის ასული — მახარაძის რაიონის კიროვის სახელობის ლაითურის საბჭოთა მეურნეობის ბრიგადირი.

101. **ცინცაძე** მიხეილ ნიკოლოზის-ძე — ქობულეთის რაიონის ლენინის სახელობის ჩაქვის საბჭოთა მეურნეობის განყოფილების გამგე.

102. **ციცავა** ვახტანგ ალექსანდრეს-ძე—წალენჯიხის რაიონის ბერიას სახელობის საბჭოთა მეურნეობის ბრიგადირი.

103. **ჭეჟია** სევერიან მიხეილის-ძე — ზუგდიდის რაიონის ბერიას სახელობის ინგირის საბჭოთა მეურნეობის აგრონომი.

104. **ჩეკულაევა** მარიამ გრიგოლის ასული — ქობულეთის რაიონის სტალინის სახელობის ოჩხამურის საბჭოთა მეურნეობის მუშა.

105. **ჩერნიხი** ნატალია მაქსიმეს ასული — ზუგდიდის რაიონის ნარაზენის საბჭოთა მეურნეობის მუშა.

106. **ჩერტოვა** ანა ვასილის ასული—ზუგდიდის რაიონის ხეცერის საბჭოთა მეურნეობის მუშა.

107. **ჭუბაბრია** დავით თეოფილეს-ძე — მახარაძის რაიონის კიროვის სახელობის ლაითურის საბჭოთა მეურნეობის ბრიგადირი.

108. **შაქარიშვილი** ნადეჟდა ახმედის ასული — ქობულეთის რაიონის ბერიას სახელობის ალამბარის საბჭოთა მეურნეობის მუშა.

109. **შენგელია** ივანე ერასტის-ძე — გალის რაიონის კოხორის საბჭოთა მეურნეობის კომკავშირული ორგანიზაციის მდივანი.

110. **შკურინა** ვერა იოსების ასული — მახარაძის რაიონის ნასაკირალის საბჭოთა მეურნეობის მუშა.

111. **შტანკო** ვასილ მიხეილის-ძე — ოჩამჩირის რაიონის მოქვის საბჭოთა მეურნეობის ბრიგადირი.

112. **შტოკალიუკი** აგაფია სტეფანეს ასული — ბათუმის რაიონის ბერიას სახელობის გონიოს საბჭოთა მეურნეობის მუშა.

113. **ეხვაია** ილია ზოსიმეს-ძე—გალის რაიონის კოხორის საბჭოთა მეურნეობის ეკონომისტი.

114. **იურკინა** ნინო ვასილის ასული — მახარაძის რაიონის კიროვის სახელობის ლაითურის საბჭოთა მეურნეობის მუშა.

მედლით „შრომითი წარჩინებისათვის“

1. **ანისიმოვა** კლავდია პავლეს ასული — წალენჯიხის რაიონის ბერიას სახელობის საბჭოთა მეურნეობის მუშა.

2. **ასათიანი** ოსმან ალის-ძე—ბათუმის რაიონის სალიბაურის საბჭოთა მეურნეობის მექანიკოსი.

3. **ბაჯელიძე** მიხეილ იოსების-ძე — მახარაძის რაიონის კიროვის სახელობის ლაითურის საბჭოთა მეურნეობის ბრიგადირი.

4. **ბელოუსოვა** პრასკოვია სტეფანეს ასული — მახარაძის რაიონის ნასაკირალის საბჭოთა მეურნეობის მუშა.

5. **ბელიაევა** ნინო ნიკოლოზის ასული — წალენჯიხის რაიონის ბერიას სახელობის საბჭოთა მეურნეობის მუშა.

6. **ბრეუსი** ალექსანდრა გრიგოლის ასული — გალის რაიონის მიქოიანის სახელობის აჩიგვარის საბჭოთა მეურნეობის მუშა.

7. **გავრიში** ოლღა უსტინის ასული—წალენჯიხის რაიონის ბერიას სახელობის საბჭოთა მეურნეობის მუშა.

8. **გალჩენკო** ეკატერინე არხიპის ასული—წალენჯიხის რაიონის ბერიას სახელობის საბჭოთა მეურნეობის მუშა.

9. **გლაგოლევა** ვერა პეტრეს ასული — წალენჯიხის რაიონის ბერიას სახელობის საბჭოთა მეურნეობის მუშა.

10. **გოგატაძე** ავქსენტი მათეს-ძე — მახარაძის რაიონის კიროვის სახელობის ლაითურის საბჭოთა მეურნეობის ბრიგადირი.

11. **გონჩაროვა** ანა ტიხონის ასული — გალის რაიონის მიქოიანის სახელობის აჩიგვარის საბჭოთა მეურნეობის მუშა.

12. **დანილოვა** მართა გრიგოლის ასული — წალენჯიხის რაიონის ბერიას სახელობის საბჭოთა მეურნეობის მუშა.

13. **ჯღარკავა** ვლადიმერ ტრიფონის-ძე — ზუგდიდის რაიონის ბერიას სახელობის ინგირის საბჭოთა მეურნეობის დირექტორის მოადგილე.

14. **ძიუბა** ტატიანა პავლეს ასული—მახარაძის რაიონის ნასაკირალის საბჭოთა მეურნეობის მუშა.

15. **დუბინა** მარიამ კირილეს ასული — ზუგდიდის რაიონის ხეცერის საბჭოთა მეურნეობის მუშა.

16. **ზახაროვა** ნადეჟდა გრიგოლის ასული — გალის რაიონის მიქოიანის სახელობის აჩიგვარის საბჭოთა მეურნეობის მუშა.

17. **ზინკოვსკაია** ალექსანდრა პავლეს ასული — წალენჯიხის რაიონის ბერიას სახელობის საბჭოთა მეურნეობის მუშა.

18. **ზოლოტუხინა** მარიამ სერგის ასული — ზუგდიდის რაიონის ბერიას სახელობის ინგირის საბჭოთა მეურნეობის ბრიგადირი.

19. **ზუევა** მარიამ პეტრეს ასული — გალის რაიონის მიქოიანის სახელობის აჩიგვარის საბჭოთა მეურნეობის მუშა.

20. **ქანთარია** შუშანა იასონის ასული — წალენჯიხის რაიონის ბერიას სახელობის საბჭოთა მეურნეობის მუშა.

21. **კაპიტონოვა** რაისა ივანეს ასული — გალის რაიონის მიქოიანის სახელობის აჩიგვარის საბჭოთა მეურნეობის მუშა.

22. **კვარაცხელია** მარიამ კონსტანტინეს ასული — ზუგდიდის რაიონის ხეცერის საბჭოთა მეურნეობის მუშა.

23. **კევლიშვილი** გიორგი დავითის-ძე — ზუგდიდის რაიონის ბერიას სახელობის ინგირის საბჭოთა მეურნეობის ეკონომისტი.

24. **კოლესნიკოვა** ტატიანა ივანეს ასული — გალის რაიონის მიქოიანის სახელობის აჩიგვარის საბჭოთა მეურნეობის მუშა.

25. **კუკლინა** რაისა ალექსანდრეს ასული — ზუგდიდის რაიონის ბერიას სახელობის ინგირის საბჭოთა მეურნეობის მუშა.

26. **ლეპეტუხა** ალექსანდრა სტეფანეს ასული — წალენჯიხის რაიონის ბერიას სახელობის საბჭოთა მეურნეობის მუშა.

27. **მოროზოვა** ვერა ივანეს ასული—წალენჯიხის რაიონის ბერიას სახელობის საბჭოთა მეურნეობის მუშა.

28. **მუჩნიკოვა** ელენე ტიმოთეს ასული — გალის რაიონის მიქოიანის სახელობის აჩიგვარის საბჭოთა მეურნეობის მუშა.

29. **ნოვიკოვა** პრასკოვია იაკობის ასული—წალენჯიხის რაიონის ბერიას სახელობის საბჭოთა მეურნეობის მუშა.

30. **ოგნევა** პრასკოვია მიტროფანეს ასული — ზუგდიდის რაიონის ხეცერის საბჭოთა მეურნეობის მუშა.

31. **სილჩენკო** პელაგია ფილიპეს ასული — მახარაძის რაიონის ნასაკირალის საბჭოთა მეურნეობის მუშა.

32. **სიჯინავა** ძაბული სპირიდონის ასული — ჩხოროწყუს რაიონის ლესიჭინის საბჭოთა მეურნეობის მუშა.

33. **სკლიაროვა** ანა ილიას ასული — გალის რაიონის მიქოიანის სახელობის აჩიგვარის საბჭოთა მეურნეობის მუშა.

34. **სლეპკუროვა** ნადეჟდა პავლეს ასული — მახარაძის რაიონის ნასაკირალის საბჭოთა მეურნეობის მუშა.

35. **ტოპოლოვა** ლიდა პავლეს ასული — წალენჯიხის რაიონის ბერიას სახელობის საბჭოთა მეურნეობის მუშა.

36. **ტუეილინა** ოლღა საველის ასული — მახარაძის რაიონის ნასაკირალის საბჭოთა მეურნეობის მუშა.

37. **ხარჩილავა** ნათელა გახას ასული — წალენჯიხის რაიონის ბერიას სახელობის საბჭოთა მეურნეობის მუშა.

38. **ხოვანსკაია** ელისაბედ კუზმას ასული — მახარაძის რაიონის ნასაკირალის საბჭოთა მეურნეობის მუშა.

39. **ხოროლსკაია** ევდოკია კაპიტონის ასული — ზუგდიდის რაიონის ხეცერის საბჭოთა მეურნეობის მუშა.

40. **ჩიჟოვა** დომნა ვასილის ასული—მახარაძის რაიონის ნასაკირალის საბჭოთა მეურნეობის მუშა.

41. **იაკოვენკო** ოლღა მირონის ასული — მახარაძის რაიონის კიროვის სახელობის ლაითურის საბჭოთა მეურნეობის მუშა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. შვერნიკი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი.

მოსკოვი, კრემლი. 1949 წ. 5 ივლისი.



მოსავლის აღება წითელწყაროს რაიონში. შირაქის ველზე გამალებული მუშაობაა. სოფელ ზემო მაჩხაანის სტალინის სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელის კოლმეურნეებმა წელს მარცვლეული კულტურების მოსავალი 1.300 ჰექტარზე უნდა აიღონ. კოლმეურნეობის მინდვრებში დღედაღამ გაისმის კომბაინების გუგუნი. იღებენ უხვ მოსავალს. **სურათზე:** 1. კოლმეურნე ი. ყოჩიაშვილი კომბაინიდან მარცვლის გადმოტვირთვაზე. 2. წარჩინებულ კომბაინერ პეტრიაკოვის „ურეკა“ ხამუშაოზე. 3. მარცვლეულით დატვირთული ურმები მიემართებიან „ზაგოტზერნოს“ ბაზისაკენ.

ფოტო ელ. გინსბურგისა

ახალი სასწავლო წლისათვის მზადების საკითხი რაიკომის პლენუმზე

ამ დღეებში შედგა საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიკომის პლენუმი. პლენუმმა მოისმინა და განიხილა რაიკომის მდივნის ამხ. ნ. ჟვანიას მოხსენება რაიონის სკოლებში 1948-49 სასწავლო წლის შედეგებისა და ახალი სასწავლო წლისათვის მზადების მდგომარეობის შესახებ.

ორჯონიკიძის რაიონის სკოლებზე, — ამბობს მომხსენებელი, — პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ხელმძღვანელობითა და დახმარებით მნიშვნელოვანი წარმატებებით დაამთავრეს გასული სასწავლო წელი. რაიონში 13.310 მოსწავლიდან შემდეგ კლასში გადავიდა და კურსი დაამთავრა 10.877 მოსწავლემ. 422-დან 419 მოსწავლემ სასწავლო კურსი დაამთავრა, მათ შორის ოქროს მედალზე —68 მოსწავლემ, ხოლო ვერცხლის მედალზე —39-მა. გასულ სასწავლო წელს, წინა წლებთან შედარებით, საგრძნობლად შემცირდა იმ მოსწავლეთა რიცხვი, რომლებიც გამოცდების შემდეგ დატოვებული არიან იმავე კლასში მეორე წელს და რომელთაც საშემოდგომო გამოცდა მიეცათ.

გასული სასწავლო წლის შედეგებმა, კლასიდან კლასში გადასაყვანმა და გაოთსაშვებმა გამოცდებმა გვიჩვენეს, რომ ქალთა მე-2 საშუალო (დირექტორი ჟ. ჩიჩუა), ქალთა მეხუთე (დირექტორი ა. მახარაძე), ქალთა მეშვიდე (დირექტორი ლ. სტურუა), ქალთა მერვე (დირექტორი მ. ჩერკასოვა), ვაჟთა მეექვსე (დირექტორი ი. სურგულაძე), ვაჟთა მეშვიდე (დირექტორი პ. ქაჯაია), ვაჟთა 32-ე (დირექტორი ვ. მელაძე) საშუალო სკოლებმა და მუშა ახალგაზრდობის მეხუთე და მეთვრამეტე სკოლებმა სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის მაღალ დონეზე დაყენებით, მოსწავლეთა შორის დისციპლინის განმტკიცებით საგრძნობ წარმატებებს მიაღწიეს.

რაიონის სკოლებში თვალსაჩინოდ გაუმჯობესდა რუსული ენისა და ლიტერატურის სწავლება. სასწავლო წლის შედეგებმა გვიჩვენეს, რომ არარუსულ სკოლებში 7.084 მოსწავლიდან რუსულ ენაში 6.565 მოსწავლე ასწრებს. მათ შორის შეფასება „5“ მიიღო 1934 მოსწავლემ. მაგრამ რუსული ენის სწავლებაში არის ნაკლოვანებანიც. ამხ. ჟვანიამ მკაცრად გააკრიტიკა ის სკოლები და მასწავლებლები, რომლებიც ამ საქმეში უპასუხისმგებლობას იჩენენ. მომხსენებელმა გააკრიტიკა აგრეთვე ნაკლოვანებანი, საყოველთაო-სავალდებულო სწავლების გატარების დარგში, სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დაყენებისა და სკოლების აღჭურვით დაკომპლექტების საქმეში.

ახალი სასწავლო წლისათვის ნაყოფიერად მზადებაში, — ამბობს მომხსენებელი, — ყველაზე მნიშვნელოვანია სკოლების მატერიალური ბაზის მომზადება, კაბინეტების მოწყობა, შენობების შეკეთება, სკოლის ეზოების კეთილმოწყობა. ბიუჯეტით მნიშვნელოვანი თანხებია გათვალისწინებული სკოლების როგორც რემონტის, ისე კაბინეტებისა და ლაბორატორიების მოსაწყობად, მათი ახალი ხელსაწყოიარაღებით შევსებისათვის.

გადაჭრით უნდა ითქვას, რომ რაიონის სკოლები სუსტად ემზადებიან ახალი სასწავლო წლისათვის.

ახალი სასწავლო წლისათვის სუსტად ემზადება ქალთა 42-ე საშუალო სკოლა (დირექტორი ნ. მჭედლიშვილი). სკოლას სათანადო დახმარებას არ უწევს განათლების განყოფილებაც. ანალოგიური მდგომარეობაა რაიონის ზოგიერთ სხვა სკოლაშიც.

რაიონის სკოლებს 16 საწარმო-დაწესებულება უწევს შეფობას. ბევრი მათგანი უკვე შეუდგა სკოლების კეთილმოწყობას. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ხრამჰესის მშენებლობის, „საქართველოს ჩაის“ ტრესტის, თბილგიდეპის, საალმშენებლო ქარხნის და ბაქტერიოფაგის ხელმძღვანელებმა უკვე შეისწავლეს მათი საშეფო სკოლების მდგომარეობა, შეადგინეს სკოლების კეთილმოწყობის გეგმა და პრაქტიკულად დაიწყეს მისი განხორციელება.

ახალი სასწავლო წელი ჩვენს წინაშე სერიოზულ ამოცანებს აყენებს აგრეთვე საყოველთაო-სავალდებულო სწავლების განხორციელების უზრუნველსაყოფად. ამ ამოცანის წარმატებით შესრულება სახალხო განათლების ორგანოებისაგან დიდ და ენერგიულ მუშაობას მოითხოვს. ჩვენი უპირველესი მოვალეობაა არ დაკმაყოფილდეთ სკოლის გარეშე დარჩენილ მოსწავლეთა უკვე ჩატარებული აღრიცხვით, სისტემატურად ვიმუშაოთ სკოლის გარეშე დარჩენილ ბავშვთა გამოვლინებისათვის, დროულად დავაკომპლექტოთ პირველი კლასები, დაწყებითი და 8-წლიანი სკოლების კურსდამთავრებული ყველა მოსწავლე ჩავაბათ შემდგომ კლასებში და ამით მტკიცედ განვახორციელოთ საყოველთაო-სავალდებულო სწავლება.

მოხსენების გამო გაცხოველებული კამათი გაიმართა. სიტყვებით გამოვიდნენ ა. მახარაძე (ქალთა მე-5 საშუალო სკოლის დირექტორი), მ. აბაშიძე (ვაჟთა მე-7 საშუალო სკოლის სასკოლო პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივანი), დ. ლორთქიფანიძე (პედაგოგიკის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორი), ნ. მჭედლიშვილი (ქალთა 42-ე საშუალო სკოლის დირექტორი), მ. სარჯველაძე („საქართველოს ჩაის“ ტრესტის მმართველი), ნ. კეცხოველი (სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი), მ. დანელია (საქართველოს ალკ(ბ) თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიკომის მდივანი), ნ. ბალავაძე (ვაჟთა მე-8 საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე), გრ. საჯაია (გაზეთ „სახალხო განათლების“ რედაქტორი), პ. ლოგუა (მშრომელთა დეპუტატების ორჯონიკიძის რაისაბჭოს აღმასკომის განათლების განყოფილების გამგე), ე. ღავთაძე (აბრეშუმ-საქსოვი ფაბრიკის დირექტორი).

სიტყვით გამოსულმა ამხანაგებმა ერთმანეთს გაუზიარეს თავიანთი გამოცდილება და შეიტანეს საქმიანი წინადადებანი ახალი სასწავლო წლისათვის უკეთ მომზადებისა და სასწავლო-საალმზრდელო მუშაობის გაუმჯობესებისათვის.

განხილულ საკითხზე პლენუმმა მიიღო სათანადო დადგენილება.

უგეგმოდ მომუშავეთა ხვედრი

მინდვრად მიმავლებს გზაში შემოგვხვდა მეხუთე ბრიგადის ხელმძღვანელი ნ. ჯოლოზ ბერუაშვილი. ეტყობოდა ძლიერ იყო დაღლილი. მისი ბრიგადა სოფლიდან ორი კილომეტრის დაშორებით მუშაობდა. იმ დღეს ბრიგადირმა ფეხით გაიარა თორმეტი კილომეტრი. თვითონაც უკმაყოფილო იყო ამ მგზავრობით.

რატომ?

ხშირად ხდება ასე. მუშაობაში არ იგრძნობა გეგმიერობა. ბრიგადირებმა არ იციან კონკრეტულად, თუ რა უნდა გააკეთონ. ეს კი იწვევს დროისა და ენერგიის ტყუილ-უბრალოდ ხარჯვას.

ასე მოხდა 9 ივლისაც. ბრიგადირი ნ. ჯოლოზ ბერუაშვილი მინდვრიდან სამჯერ დაბრუნდა სოფელში. ერთხელ მკელებს დაუძახა, მეორედ მეურმეებს, მესამედ ავტომანქანის ჩამოსაყვანად იყო. რომ ყოფილიყო კონკრეტული გეგმა, საჭირო არ იქნებოდა ბრიგადირის ზედმეტი სირბილი და მისი მოცდენა ძირითად სამუშაოსაგან.

ვინახულეთ მეხუთე ბრიგადა. ესპარცეტის ალებაზე მუშაობდა. ამ ბრიგადიდან იმ დღეს ბევრი კოლმეურნე არ გამოსულიყო მინდვრად სამუშაოდ.

— ლევან ბერუაშვილი — გვეუბნება ბრიგადირი — დილით ნამგალს დაეძებდა სოფელში. ალბათ ვეღარ იშოვა და აღარ წამოსულა, ხოლო კოლმეურნე ელიჩო ბერუაშვილს თონე ჰქონდა ჩაკეთებული, ალბათ პურს აცხობდა და სამუშაოდ წამოსვლა ვეღარ მოასწრო.

ალბათ! — ასე მსჯელობს ბრიგადირი. მას ნაკლებად აღელვებდა ის ამბავი, რომ მისი ბრიგადის 10 შრომისუნარიანმა მუშახელმა 9 ივლისს სამუშაო დღე გააცდინა.

მეხუთე ბრიგადა გამონაკლისი არ არის სტალინირის რაიონის სოფელ ბერულის კოლმეურნეობაში. შრომის დისციპლინა არადამაკმაყოფილებელია თითქმის ყველა ბრიგადაში.

ავიღოთ მემინდვრეობის მესამე ბრიგადა. ამ ბრიგადას კომუნისტი შალვა ბერუაშვილი ხელმძღვანელობს. საკოლმეურნეო პარტიულმა ორგანიზაციამ შ. ბერუაშვილი თავისავე ბრიგადაში გამოყო აგიტატორად. მაგრამ ბრიგადირი დაუშვებელი გულგრილობით ეკიდება ამ საპასუხისმგებლო დავალებას. მას უკანასკნელი თვეების განმავლობაში არც ერთხელ არ ჩაუტარებია საუბარი ბრიგადაში. მას გაზეთიც არა აქვს გამოწერილი. ბრიგადა არადამაკმაყოფილებლად მუშაობს, ირღვევა შრომის დისციპლინა.

მიუხედავად იმისა, რომ კოლმეურნეობაში საბავშვო ბაღა მოაწყეს, კოლმეურნე ქალთა ნაწილი მაინც სისტემატურად არ მონაწილეობს მინდვრის სამუშაოებში.

კოლმეურნეობის სარევიზიო კომისიის თავმჯდომარის კომუნისტ ვახტანგ ბერუაშვილის მეუღლემ ეთერ ბერუაშვილმა მიმდინარე წლის 5 თვის განმავლობაში მხოლოდ 1,4 შრომადღე გამოიძუშავა. კოლმეურნე ლილი ალრჩვაძეს 5 თვის განმავლობაში არც ერთი შრომადღე არ გამოუმუშავებია. მერგოლურმა ვერიკო ოთინაშვილმა 5 თვეში მხოლოდ 9 შრომადღე გამოიმუშავა. ასეთი მაგალითი აქ იშვიათი როდია.

კოლმეურნეობის ხელმძღვანელობა მოუქნელად მუშაობს. კოლმეურნეთა საერთო კრებაზე მხოლოდ 23 ივნისს განიხილეს მოსავლის აღებისათვის მზადების საკითხი. კრებაზე ცხადი გახდა, რომ მოსავლის აღებისათვის კოლმეურნეობას ესაჭიროებოდა 150 ცალი ახალი ტომრის, 50 კილოგრამი თოკის, 30 ცხავის შეძენა, 12 ურმის შეკეთება.

რა გააკეთა კოლმეურნეობის ხელმძღვანელობამ ამ მხრივ? თითქმის არაფერი. 9 ივლისისათვის კოლმეურნეობას შეძენილი არ ჰქონდა არც ერთი ცალი ტომარა, არც ერთი კილოგრამი თოკი, არც ერთი ცალი ცხავი.

ბერულის კოლმეურნეობამ 140 ჰექტარზე უნდა აიღოს თავთავიანი კულტურების მოსავალი. ამ სამუშაოს შეასრულებს 5 ბრიგადა ქსუისის მტს-ის დახმარებით. მიღებული მოსავლის ზუსტად აღრიცხვისათვის საჭიროა რამდენიმე სასწორი. კოლმეურნეობას კი მხოლოდ ერთი სასწორი აქვს და დღემდე ისიც შეუკეთებელია.

კოლმეურნეობის ხელმძღვანელობას (თავმჯდომარე ა. ბერუაშვილი) არ უზრუნია მოსავლის აღების კონკრეტული გეგმის შედგენისათვის. ამიტომ არის, რომ მოსავლის აღების ამ გადამწყვეტ დღეებში აქ არ იგრძნობა ორგანიზებულობა, განსაკუთრებული პასუხისმგებლობა.

მინდვრად მომუშავე კოლმეურნეთა შორის სრულიად არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული საგიტაციო მუშაობა. ბრიგადებში არ მიდიან აგიტატორები. ეს სერიოზული ნაკლოვანება რატომღაც არ აფიქრებს საკოლმეურნეო პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივანს ამხ. გ. ბერუაშვილს. ბრიგადებში არ გამოდის საველე ფურცლები. უფრო მეტიც, საკოლმეურნეო კეღლის გაზეთს „კომუნიზმის გზითს“, რომელსაც საკოლმეურნეო პარტორგანიზაციის მდივნის მოადგილე თედო ტურაშვილი ხელმძღვანელობს, სრულიად გამორჩა მოსავლის აღების საკითხი. კედლის გაზეთი უკანასკნელი ორი თვის განმავლობაში აღარ გამოსულა.

სოფელ ბერულის კოლმეურნეობაში ხშირად მოდიან ამხანაგები პარტიის სტალინირის რაიკომიდან და რაისაბჭოს აღმასკომიდან. აუცილებელი იქნება იქ მათ მისვლას უფრო უკეთესი შედეგები მოსდევდეს. ეს განსაკუთრებით საჭიროა ახლა, მოსავლის აღების ამ ცხარე დღეებში.

ვლ. ბელაშვილი

„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

კულტურისა და დასვენების პარკი რაიონულ ცენტრში

ზნაური. (საკ. კორ.). რაიონულ ცენტრში 1,5 ჰექტარ ფართობზე ეწყობა კულტურისა და დასვენების პარკი.

პარკში აღმართულია ვ. ი. ლენინის ძეგლი. ძეგლის წინ კეთდება შადრევანი. ახალ ნარგავებში გაჭყავთ ბილიკები, აწყობენ სკვერს, დამზადებულია ახალი სკამები.

რაიონის მშრომელები მალე მიიღებენ კარგ საჩუქარს — კულტურისა და დასვენების ახალ კეთილმოწყობილ პარკს.

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

პოლიკარპე კაკაბაძე—„პიესები“

სახელგამმა გამოსცა დრამატურგ პოლიკარპე კაკაბაძის წიგნი „პიესები“. მასში შესულია ავტორის სამი დრამატიული ნაწარმოები: „ყვარყვარე თუთაბერი“, „კოლმეურნის ქორწინება“ და „შეხვედრა მშენებლობაზე“.

პოლიკარპე კაკაბაძეს დიდი ღვაწლი მიუძღვის ქართული საბჭოთა დრამატურგიის განვითარების საქმეში. მისი ერთ-ერთი მეტად საინტერესო პიესა „ყვარყვარე თუთაბერი“ თავიდანვე მტკიცედ დამკვიდრდა ჩვენი თეატრების რეპერტუარში. ამ პიესის დადგმა პირველად განახორციელა სახელგანთქმულმა რეჟისორმა კოტე მარჯანიშვილმა. მან მთელი ძალით გააცოცხლა სცენაზე ნაწარმოების გმირები, მათი სულიერი ცხოვრება, ის გარემო, რომელშიც უხდებოდა ხალხს ცხოვრება საბჭოთა ხელისუფლების დამყარების წინა პერიოდში და რევოლუციის პირველ ხანებში.

პიესის მთავარი გმირი ყვარყვარე თუთაბერი უქნარა, ფუჭი მეოცხებე, ტობახა და ზარმაცია. მას ხალხმა ნაცარქექია შეარქვა. პირველი მსოფლიო ომის დროს იგი ფეხის ხმას აჰყვა და სახელდახელო სამოვრით მოულოდნელი გამდიდრების მიზნით ტრაპიზონის გზის მშენებლობაზე მოხვდა. იგი აქ ერთ მეწისქვილეს შეეხიზნა, მის კერასთან მაგრად მოიკალათა და ნაცრის ქექვას მიჰყო ხელი. ზის ყვარყვარე კერასთან და ჩხირით ნაცარში ათასნაირ სულელურ გეგმებს ხაზავს. ამ დროს წისქვილში თავშესაფარებლად, მეფის ჯარისკაც-მდევართაგან თავის დაღწევის მიზნით, შემოირბენენ მეწისქვილის ქალიშვილი, მოწყალების და მზეთამზე და მისი შეყვარებული სევასტი. ეს უკანასკნელი რევოლუციურ-პროპაგანდისტულ მუშაობას აწარმოებს ჯარის ნაწილების მზეთამზესთან ერთად; მეფის აგენტები დევნიან მათ შესაპყრობად. წისქვილში ნაცარქექიას ყოფნით ისარგებლებენ მზეთამზე და სევასტი და ისე მოაწყობენ საქმეს, რომ ყვარყვარეს შეიპყრობენ სევასტის ნაცვლად, როგორც დიდ რევოლუციონერს.

საბოლოოდ გამოირკვევა ყვარყვარე თუთაბერის ნამდვილი სახე; მას გააძევებენ როგორც ცრუავტორიტეტს და ყალთაბანდს.

პიესაში მკაფიოდ არის ნაჩვენები მენშევიკური მთავრობის უბადრუკობა და უსიადაგობა. ავტორი მაღალმხატვრული, ჯანსაღი კომედიური ხერხებით დიდ მამხილებელ ძალას და სოციალურ ღირებულებას ანიჭებს თავის ნაწარმოებს. პიესაში უხვად არის გამოყენებული აფორიზმები, ხალხური სხარტული გამოთქმები, მოსწრებული ფრთოსანი ფრაზები. ნაწარმოების ენა ცოცხალი, მსუბუქი, სასაუბრო-ლიტერატურული და ხატოვანია. პ. კაკაბაძის დამსახურება ამ მხრივ სწორედ ის არის, რომ ნაწარმოების ენობრივი მასალა ბუნებრივი ძაფებით არის დაკავშირებული და შეგუებული მოქმედ პირთა სულიერ სამყაროსთან, მათი მოქმედების მიზანსწრაფვასთან და ხასიათის ელემენტებთან. ლექსიკა აქ მარტო აზრების გამოთქმის საშუალების როლს კი არ ასრულებს, არამედ მისი დანიშნულება გაცილებით უფრო ფართო და დიდმნიშვნელოვანია. იგი ... ბისა და მოვლენების შინაგან ბუნებას გამოავლენს, ძათ მრავალფეროვნებას და თვისობრივ სიმდიდრეს თუ სიღატაკეს გადმოგვცემს. ამის გამო არავითარი ხარვეზი ხაწარმოების გმირის ხასიათსა და მისი ლექსიკის მარაგს შორის არ არსებობს.

ჩვენი საკოლმეურნეო სოფლის განვითარების ადრინდელ ეტაპს ეხება პ. კაკაბაძის მეორე დრამატიული ნაწარმოები „კოლმეურნის ქორწინება“. აქ აწერილია ის პერიოდი, როცა საკოლმეურნეო შრომით დაწინაურებული ჩვენი ქვეყნის უბრალო ადამიანები დგებიან მთელი ხალხის ყურადღების ცენტრში; მათ იწვევენ სოციალისტური სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვში ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელებთან შესახვედრად; მათ აჯილდოებენ ორდენებით. ნაწარმოების მთავარი გმირი გვირისტინე სწორედ ასეთი ღირსშესანიშნავი ადამიანი გახადა საკოლმეურნეო შრომამ. მთელი მისი ცხოვრება თვალსაჩინო ფაქტიური დადასტურებაა ხალხთა დიდი ბელადის ი. ბ. სტალინის სიტყვებისა — „ქალი კოლმეურნეობაში დიდი ძალაა“.

პიესაში მოცემულია გვირისტინეს მამის, მშრომელი გლეხის ხახულის მეტად საინტერესო სახე. წინათ იგი ყოფილი აზნაურის მანუჩარის ოჯახში ფარეშად იყო. რევოლუციამ ხახულის შეგნებაში დიდი ცვლილება მოახდინა. იგი გათვითცნობიერდა, კარგად არჩევს ერმანეთისაგან მესაღებსა და მიუღებელს, მტერსა და მოკეთეს.

მთელი პიესა საინტერესო დრამატურგიული ხერხებით არის დაწერილი. იგი ცხადყოფს ავტორის მიერ ცხოვრების ღრმა ცოდნას და შემოქმედის მახვილ თვალს. პიესაში მკაფიოდ არის მოცემული სახეების სოციალური დახასიათება.

პ. კაკაბაძის დრამატიული ნაწარმოები „შეხვედრა მშენებლობაზე“ მოგვითხრობს ომისშემდგომი ხანის მძიმე შრომითი დღეების შესახებ. მასში ასახული არიან დიდი სამამულო ომის მონაწილე სახელოვანი საბჭოთა ადამიანები. ისინი ერთმანეთთან დაამეგობრა ფრონტმა, ჩვენი ქვეყნის ღირსებისა და თავისუფლებისათვის თავდადებულმა ბრძოლამ. სამშობლოს მამაცი დამცველები მშვიდობიან პირობებშიც გმირულად იბრძვიან კომუნიზმის მშენებელთა მოწინავე რიგებში.

გოდერძი, დარეჯანი, შუშანა, გურგენი და ნაწარმოების სხვა ენთუზიასტები ახალი ტიპის, სტალინური წრთობის ადამიანები არიან. მათ არ იციან რა არის დაღლა მუშაობაში, ან კიღევ უკანდახევა სიძნელეების წინაშე. ეს უბრალო საბჭოთა ადამიანები მთელი თავიანთი ენერგიით ემსახურებიან ხალხის კეთილდღეობის საქმეს, კომუნიზმის საბოლოო გამარჯვების საქმეს.

პოლიკარპე კაკაბაძის პიესების ცალკე წიგნად გამოცემა ხელს შეუწყობს მკითხველთა ფართო მასებს უფრო ახლო გაეცნონ ამ მოწინავე ქართველი საბჭოთა დრამატურგის შემოქმედებას.

ე. თუშიშვილი

გავაუმჯობესოთ დრამაჯული თეატრების რეპერტუარი

თანამედროვე თემატიკის სპექტაკლების დათვალიერებას, რომელიც ამას წინათ მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით ჩატარდა, უდიდესი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა თეატრალური ხელოვნების შემდგომი განვითარებისა და სრულყოფისათვის. დათვალიერება წარმოადგენდა ჩვენი თეატრებისა და დრამატურგიის ახალი მიღწევების დემონსტრაციას, რამაც ხელი შეუწყო ახალგაზრდა ნიჭიერი მსახიობებისა და რეჟისორების გამოვლინების საქმეს. დათვალიერება კიდევ უფრო განამტკიცებს კავშირს ჩვენს თეატრებსა და დრამატურგებს შორის, რაც სრულფასოვანი პიესებისა და სპექტაკლების შექმნის გადამწყვეტ პირობას წარმოადგენს.

დათვალიერებამ გვიჩვენა, რომ უკანასკნელ პერიოდში განსაკუთრებით გაიზარდა თანამედროვე თემებზე დაწერილი პიესების რიცხვი. დაიწერა მთელი რიგი იდეურად და მხატვრულად გამართული პიესები, რომლებიც ჩვენმა წამყვანმა თეატრებმა განახორციელეს. თანამედროვე ქართულ ორიგინალურ პიესებს გარდა, დათვალიერების დროს ნაჩვენები იქნა რუსეთის თანამედროვე დრამატურგიის თვალსაჩინო ნაწარმოებებიც.

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ცნობილმა დადგენილებებმა იდეოლოგიურ საკითხებზე, განსაკუთრებით კი დადგენილებამ „დრამატული თეატრების რეპერტუარისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“, დიდი როლი შეასრულეს საბჭოთა დრამატურგიის და თეატრალური ხელოვნების განვითარების საქმეში.

საქართველოს კომუნისტური პარტიის მე-14 ყრილობაზე ამხანაგმა კ. ნ. ჩარკვიანმა მაღალი შეფასება მისცა ომისა და ომისშემდგომი პერიოდის ქართულ ხელოვნებასა და ლიტერატურას, ჩვენი რესპუბლიკის თეატრების წინაშე დააყენა გადაუდებელი ამოცანა, რომ „თეატრებმა დრამატურგებთან მჭიდრო თანამშრომლობით შეავსონ თავიანთი რეპერტუარი თანამედროვე თემატიკის, ახალი მაღალმხატვრული დრამატული ნაწარმოებებით“.

თანამედროვე თემატიკის სპექტაკლების დათვალიერებამ ნათლად დაგვანახვა, თუ როგორ ახორციელებენ თეატრები ამ ამოცანას.

რუსთაველის სახელობის თეატრმა დათვალიერებაზე წარმოადგინა სამი სპექტაკლი: ილო მოსაშვილის „ჩაძირული ქვები“, ვასო პატარაიას „უჩა უჩარდია“ და ბარიანოვის „იმათ მხარეში“.

რუსთაველის თეატრის განვლილი სეზონის ყველაზე საყურადღებო მოვლენა იყო ილო მოსაშვილის პიესის „ჩაძირული ქვების“ დადგმა. ეს სპექტაკლი წარმოადგენს მნიშვნელოვან ლიტერატურულ და თეატრალურ მოვლენას. სპექტაკლის მაღალი მხატვრულობა განაპირობა მასში საბჭოთა სცენის შესანიშნავი ოსტატების აკაკი ხორავას და აკაკი ვასაძის მონაწილეობამ.

განსაკუთრებით სასიხარულოა, რომ უკანასკნელად განხორციელებულ სპექტაკლებში დაწინაურდნენ და გაიზარდნენ ახალგაზრდა ნიჭიერი მსახიობები: გეგეჭკორი, ჩახავა, თეთრაძე, ჩხეიძე, კეკნაძე, დამბაშიძე და სხვები.

კარგად მიიღო მაყურებელმა რუსთაველის თეატრის მეორე სპექტაკლი — ვ. პატარაიას პიესა „უჩა უჩარდია“. მიუხედავად ზოგიერთი დეფექტისა, რაც უმთავრესად ნაწარმოების დრამატურგიულ მხარეს შეეხება, და პერსონაჟების ერთგვარი სქემატურობისა, სპექტაკლი მაყურებელმა კარგად მიიღო.

რაც შეეხება რუსთაველის თეატრის მესამე სპექტაკლს, საბჭოთა თემებზე რეპერტუარის გამდიდრების თვალსაზრისით, იგი თეატრის აქტივში უნდა ჩაიწეროს, მაგრამ ქართული დრამატურგიის განვითარების თვალსაზრისით ბევრს არაფერს მატებს თეატრს.

თვალსაჩინო ადგილი უჭირავს სოხუმის სახელმწიფო დრამატულ თეატრს, რომლის ხელმძღვანელმა ნიჭიერმა რეჟისორმა ს. ჭელიძემ შექმნა თანამედროვე თემატიკაზე აგებული თეატრის რეპერტუარი.

თეატრმა საგრძნობლად გააუმჯობესა სპექტაკლების იდეურ-მხატვრული მხარე, შეავსო და განამტკიცა თეატრის შემოქმედებითი კოლექტივის შემადგენლობა ნიჭიერი ახალგაზრდა აქტიორებით, შემოქმედებითი და საშეურნეო-ორგანიზაციული მუშაობის გაუმჯობესების შედეგად სარეპერტუარო და საფინანსო-სამეურნეო გეგმა მაღალი მაჩვენებლებით შეასრულა.

სოხუმის თეატრმა დათვალიერებაში მონაწილეობა მიიღო 3 პიესით: ილო მოსაშვილის „ჩაძირული ქვები“, გ. გულიას „გაზაფხული საკენში“ და სიმონოვის „უცხო აჩრდილით“.

განსაკუთრებით მაღალი შეფასება მიიღო სპექტაკლებმა „გაზაფხული საკენში“ და „უცხო აჩრდილი“. აღსანიშნავია მსახიობების ჭელიას, ზაქარიაძის, კვაჭაძის, ლაფერაძის, ყანჩელის და საყვარელიძის თამაში. „უცხო აჩრდილის“ განხორციელებით სოხუმის თეატრმა შექმნა იდეურად და მხატვრულად ძლიერი სპექტაკლი.

კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრმა დათვალიერების პერიოდში აჩვენა 3 სპექტაკლი: ვირტას „განწირულთა შეთქმულება“, გ. მდივნის „ვარდო“ და კარლო კალაძის „სოფლის საამო საღამოები“. როგორც ცნობილია, ვირტას პიესა „განწირულთა შეთქმულება“ ასახავს იმ დიდ სოციალურ და პოლიტიკურ ცვლილებებს, რაც მოხდა სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში. პიესაში ნათლად არის ნაჩვენები რეაქციული ბანაკისა და დემოკრატიული ბანაკის ბრძოლა, მხილებულია ამერიკული იმპერიალიზმის პოლიტიკა.

თეატრმა კარგად განახორციელა ვირტას ამ პიესის დადგმა. განსაკუთრებით აღსანიშნავია რესპუბლიკის სახალხო არტისტების ვ. ანჯაფარიძის, შ. ღამბაშიძის და ვ. გოძიაშვილის მიერ როლების მაღალმხატვრული შესრულება. სპექტაკლს ჰქონდა ზოგიერთი დეფექტიც.

კარგი შთაბეჭდილება მოახდინა გ. მდივნის პიესის „ვარდოს“ დადგმამ. პიესას აქვს არსებითი ხასიათის ნაკლოვანებანი მხატვრულობის მხრივ. თეატრმა კარგად გაიგო პიესის სუსტი მხარეები და მართებულად წამოსწია წინა პლანზე ძირითადი იდეა — კეთილსარისხოვანი პროდუქციისათვის ბრძოლის იდეა. სპექტაკლის წამყვან მსახიობთა კარგი თამაშით მიიღეთ მხიარული, რეალისტური სპექტაკლი.

კარლო კალაძე თავის პიესაში „სოფლის საამო საღამოები“ შეეცადა კერძო მესაკუთრული ინსტინქტების დაძლევის შედეგად ეჩვენებინა, თუ როგორ ხდება ამქამად კოლმეურნე გლეხის შეგნებაში კაპიტალისტური ნამთების დაძლევა, ეჩვენებინა, რომ ყოველი პროფესია, დიდი თუ პატარა, ჩვენში წარმოადგენს ღირსებისა და პატივის საქმეს, მაყურებელი სამართლიანად მოელოდა, რომ ისეთი კვალიფიციური კოლექტივი, როგორიც არის მარჯანიშვილის სახელობის თეატრი, სწორად გაიგებდა პიესას, წინა პლანზე წამოწევდა პიესის ჯანსაღ იდეურ მხარეებს, მოუნახავდა მას გამართლებულ და დამაჯერებელ მორალს.

სამწუხაროდ, უნდა აღინიშნოს, რომ თეატრმა წინა პლანზე წამოწია პიესის არაარსებითი მხარეები, რითაც თითქმის მთლიანად დაიჩრდილა ის კეთილშობილი იდეა, რომელიც პიესის ავტორს სურდა გამოეხატა. საჭიროა თეატრმა დრამატურგთან ერთად ალავ იმუშაოს ამ სპექტაკლის იდეური და მხატვრული სრულყოფისათვის.

დათვალიერებაში მონაწილეობა მიიღო აგრეთვე ვრიბოედოვის სახელობის რუსულმა დრამატულმა თეატრმა. წარმოდგენილი სამი სპექტაკლიდან: „ღირსების კანონი“, „განწირულთა შეთქმულება“ და „იმათ მხარეში“, ყველაზე კარგი შეფასება მიიღო რესპუბლიკის სახალხო არტისტის ა. თაყაიშვილის მიერ განხორციელებულმა დადგმამ „იმათ მხარეში“, რომელიც გამოირჩევა მაღალი აქტიორული შესრულებით. მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სპექტაკლები „ღირსების კანონი“ და „განწირულთა შეთქმულება“ როგორც რეჟისორული, ისე აქტიორული შესრულების თვალსაზრისით არასრულყოფილია.

მნიშვნელოვნად გააუმჯობესა თავისი მუშაობა უკანასკნელ ხანებში ქუთაისის ლ. მესხიშვილის სახელობის დრამატულმა თეატრმა. უკანასკნელი სამი თვის განმავლობაში გამდიდრდა თეატრის რეპერტუარი თანამედროვე თემებზე დაწერილი პიესებით. ძველ თაობასთან ერთად ქუთაისის თატრში ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან ნიჭიერი ახალგაზრდა მსახიობები: შოთა პირველი, ვახტანგ მეგრელიშვილი, ალ. ქილბაქიანი, ვახტანგ ჯახუტაშვილი და სხვები. თეატრის მუშაობის სუსტ მხარეს წარმოადგენს კვალიფიციური რეჟისორების სიმცირე. ამის გამო ქუთაისის თეატრში დადგმულ ზოგიერთ სპექტაკლს აკლია სცენიური სახეების ღრმად გამოკვეთა და მხატვრული მთლიანობა. თეატრის მიერ მაღალმხატვრული სპექტაკლების დადგმას ხელს უშლის კვალიფიციური ახალგაზრდა მსახიობი ქალების ნაკლებობაც.

დათვალიერების პირველ ტურში მონაწილეობა მიიღო ბათუმის სახელმწიფო თეატრმა, რომლის მუშაობას ემჩნევა ერთგვარი გაუმჯობესება, მაგრამ სათანადო რეპერტუარის შერჩევისა და რეჟისურის მხრივ იგი ჯერ კიდევ საკმაოდ ჩამორჩება.

კარგი შთაბეჭდილება მოახდინა გორის თეატრის სპექტაკლებმა, რომლებსაც ემჩნევათ გამოცდილი რეჟისორის ხელი. ყველაზე მეტად გამოირჩეოდა სუროვის „მწვანე ქუჩა“ რეჟისორ ვ. ყუშიტაშვილის დადგმით.

ჭიათურის თეატრი გამოვიდა ერთფეროვანი რეპერტუარით. პიესების დადგმაც დაბალხარისხოვანია.

მოუმზადებელი შეხვდა დათვალიერებას ფოთის სახელმწიფო თეატრი, რომელმაც დათვალიერებაში მონაწილეობა მიიღო მსუბუქი რეპერტუარით.

მოზარდ მაყურებელთა ქართული და რუსული თეატრების სპექტაკლებიდან უნდა აღინიშნოს ქართული თეატრის სპექტაკლი „განსაკუთრებული დავალება“ და რუსული თეატრის—„ორი კაპიტანი“.

დათვალიერების შედეგებმა გვიჩვენეს, რომ მიუხედავად ზოგიერთი დეფექტისა, რესპუბლიკის თეატრებმა შეძლებისდაგვარად განახორციელეს ყოველივე კარგი და ახალი რაც უკანასკნელ პერიოდში შექმნეს რუსმა და ქართველმა საბჭოთა დრამატურგებმა. მან გვიჩვენა, რომ ჩვენი მწერლებისა და თეატრების ინტერესი თანამედროვე თემებისადმი მნიშვნელოვნად გაძლიერდა.

დათვალიერების დროს ამასთანავე დაისახა ახალი ამოცანები ჩვენი დრამატურგიისა და თეატრების წინაშე. პირველ რიგში თეატრების მუშაობის გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს მაღალმხატვრული თანამედროვე რეპერტუარის შექმნა. ამისათვის საჭიროა კიდევ უფრო გაძლიერდეს კავშირი დრამატურგებსა და თეატრებს შორის, მწერალთა კავშირსა და ხელოვნების სამმართველოს შორის. მწერალთა კავშირის დრამსექცია სისტემატურად უნდა იხილავდეს ყოველ ახალ პიესას და გულდასმით გარჩევის შემდეგ აძლევდეს რეკომენდაციას პიესას თეატრში მისი დადგმის შესახებ. თეატრების გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს სპექტაკლების იდეურ - მხატვრული ხარისხის ამაღლების საკითხი. ახალი სპექტაკლების დადგმის ვადების შემცირებამ და სპექ

პროფკავშირთა მეორე მსოფლიო კონგრესის რეზოლუცია პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციისა და ეროვნული პროფკავშირული ცენტრების საქმიანობის შესახებ მოხსენებათა გამო

ფილანი, 11 ივლისი. (საკდესი). მშრომელთა ეკონომიური და სოციალური ინტერესების დასაცავად პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციისა და ეროვნული პროფკავშირული ცენტრების საქმიანობის შესახებ მოხსენებათა გამო პროფკავშირთა მეორე მსოფლიო კონგრესის რეზოლუციაში ნათქვამია:

1. მეორე მსოფლიო კონგრესი აღნიშნავს, რომ პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაცია და ეროვნული პროფკავშირული ცენტრები შეუპოვარ ბრძოლას ეწეოდნენ და ეწევიან მშრომელთა ეკონომიური და სოციალური ინტერესების დაცვის იმ პროგრამის განხორციელებისათვის, რომელიც მიიღეს პროფკავშირთა ლონდონის მსოფლიო კონფერენციამ და პარიზის მსოფლიო კონგრესმა.

პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციამ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წინაშე დააყენა თანაბარი შრომისათვის თანაბარი ანაზღაურების საკითხი, მხარს უჭერდა სხვადასხვა ქვეყნის მუშებს, რომლებიც ცდილობდნენ გაუუმჯობესებინათ თავიანთი სასიცოცხლო პირობები, მან მოაწყო საერთაშორისო მოძრაობა საფრანგეთის გაფიცული მაღაროელების, ამერიკელი დოკერების, კანადის მეზღვაურებისა და სხვადასხვა ქვეყნის მუშათა კლასის სხვა რაზმებისადმი სოლიდარობისა და დახმარების გაწევისათვის. პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციამ მეტროპოლიის ქვეყნების ეროვნული პროფკავშირული ცენტრების წინაშე დააყენა ამოცანა, რომ დახმარებოდნენ კოლონიური ქვეყნების პროფკავშირების ბრძოლას კოლონიებში ეკონომიური და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის, ბრძოლას რასის, სქესის, რელიგიური რწმენის ნიშნების მიხედვით დისკრიმინაციის წინააღმდეგ.

2. ომის დამთავრების შემდეგ პირველ ხანს მთელი რიგი კაპიტალისტური ქვეყნების პროფკავშირებმა ერთგვარი წარმატებანი მოიპოვეს მშრომელთა ეკონომიური პირობების გაუმჯობესებაში, რაც გამოიხატა იმით, რომ ზოგიერთ ქვეყანაში მიღებულ იქნა კანონები საწარმოთა მართვა-გამგეობის საბჭოების შექმნის შესახებ, მუშათა დათხოვნის აკრძალვის შესახებ, სიძვირის გამო ხელფასის დანამატის დაწესების, უმუშევრობის გამო დახმარების, ფასიანი შვებულების შემოღების შესახებ და სხვ. მაგრამ ამ უკანასკნელ ხანს მშრომელთა ცხოვრების დონის წინააღმდეგ მონოპოლისტური კაპიტალის ძალიერ დაწყებული შეტევის შედეგად ხალხის ძსენების მატერიალური მდგომარეობა კაპიტალისტურ ქვეყნებში მნიშვნელოვნად გაუარესდა.

3. „მარშალის გეგმა", რომელიც დასავლეთ ევროპის ქვეყნების ხალხებს თავს მოახვია ამერიკულმა იმპერიალიზმმა, აფეხებს მასობრივ უმუშევრობას და მასების გაღატაკებას, იმას, რომ მარშალიზებული ქვეყნები კარგავენ ეკონომიურ დამოუკიდებლობას და მათი ეროვნული მრეწველობა იკეცება.

„მარშალის გეგმა" აუარესებს ამერიკის მუშათა კლასის ცხოვრების პირობებსაც.

4. კაპიტალისტური ქვეყნების მშრომელთა ეკონომიური მდგომარეობის გაუარესებას თან ახლავს მუშათა კლასის დემოკრატიული უფლებებისა და თავისუფლების წინააღმდეგ რეაქციის შეტევის გაძლიერება. ბევრ ქვეყანაში მზადდება ანტიმუშური კანონმდებლობა მზგავსად ამერიკის შეერთებულ შტატებში მოქმედი ტაფტ-ჰარტლის კანონისა. გაფიცვები გამოუცხადებულია კანონგარეშე და ძლიერდება რეპრესიები პროფკავშირული ორგანიზაციების წინააღმდეგ.

ინგლისის, ამერიკის შეერთებული შტატების, ჰოლანდიის, ბელგიის, შვეიცარიის, დანიის პროფკავშირული ცენტრების გამითშეფლმა ლიდერებმა დიდი ზიანი მიაყენეს მუშათა კლასის ინტერესებს, როცა დაიცვეს „მარშალის გეგმა", რომელიც უმუშევრობასა და სიღატაკეს უქადის ძალი ქვეყნების მშრომელთ. ამერიკის შრომის ფედერაციის, ამერიკის შეერთებული შტატების საწარმოო პროფკავშირთა კონგრესის, ბრიტანეთის ტრედ-უნიონთა კონგრესისა და ზოგიერთი სხვა პროფკავშირული ცენტრის ხელმძღვანელები პროფკავშირული ერთიანობის გათიშვის თავიანთი პოლიტიკით ასუსტებენ მუშათა კლასის ძალებს მის ბრძოლაში სიცოცხლო ინტერესებისათვის. ისინი ახორციელებენ იმპერიალისტური წრეების პოლიტიკას, რომელიც მიმართულია მშრომელთა ეკონომიური მდგომარეობის გაუარესებისაკენ მათს ქვეყნებში.

5. განსაკუთრებით მძიმეა მშრომელთა ეკონომიური და სოციალური პირობები კოლონიურ და დამოკიდებულ ქვეყნებში, სადაც სხვადასხვა ფორმით ჯერ კიდევ არსებობს იძულებითი შრომა, სადაც მუშათა კლასის ულმობელ ექსპლოატაციას აძლიერებს დისკრიმინაცია სქესის, რასის და ასაკის ნიშნების მიხედვით, თავისუფალ პროფკავშირებს დევნიან მთავრობები, ხოლო ამ პროფკავშირთა ხელმძღვანელები საშინელ რეპრესიებს განიცდიან.

შრომისა და ხელფასის დარგში რასისა და ეროვნული ნიშნების მიხედვით დისკრიმინაციას მიმართავენ არა მარტო კოლონიებში. არამედ ამერიკის შეერთებულ შტატებშიც. ამ ქვეყანაში ხანგებს, აგრეთვე მექსიკელებს, პორტორიკოს მოქალაქეებს, ჩინელებს, იაპონელებს დაბეული აქვთ გზა კვალიფიციური მუშის შრომისაკენ. ზანგთა შრომის ასანაზღაურებლად იყენებენ განსაკუთრებულ ტატარიფო ცხრილს, რომელიც ითვალისწინებს შემცირებულ ანაზღაურებას იმავე სპეციალობის თეთრკანიან მუშებთან შედარებით.

6. კონგრესი მიესალმება საფრანგეთის, იტალიის, ინდოეთის, ლათინური ამერიკის ქვეყნების და სხვა კაპიტალისტური და კოლონიური ქვეყნების დემოკრატიულ პროფკავშირებს, რომლებიც გმირულ ბრძოლას ეწევიან, რათა დაიცვან მშრომელთა ეკონომიური და სოციალური უფლებები კაპიტალისტური მთავრობების მხრივ მძიმე რეპრესიების პირობებში, მუშათა ერთიანობის გამთიშველთა — რეფორმისტული და მთავრობის პროფკავშირთა ძირგამომთხრელი საქმიანობის პირობებში.

7. კონგრესი აღაფოთილებით აღნიშნავს, რომ სსრ კავშირში განუხრელად უმჯობესდება მშრომელთა მატერიალური და კულტურული კეთილდღეობა.

ეს წარმატებანი უზრუნველყოფილია საბჭოთა სახელმწიფოს სოციალისტური ბუნებით, სადაც არ არსებობს წარმოების იარაღისა და საშუალებათა კერძო საკუთრება, არ არსებობს წინააღმდეგობა სახელმწიფოსა და მუშებს შორის.

საბჭოთა კავშირის პროფკავშირები აქტიურ მონაწილეობას იღებენ სოციალისტურ მშენებლობაში, უზრუნველყოფენ თავიანთი ქვეყნის მშრომელთა ცხოვრების დონის ამაღლებას.

სახალხო მეურნეობის ომისშემდგომი აღდგენისა და შემდგომი განვითარების სწრაფი ტემპი, რასაც საბჭოთა კავშირმა უცხოელთა დაუხმარებლად მიაღწია, ერთხელ კიდევ მოწმობს, რომ მეურნეობის სოციალისტურ სისტემას უეჭველი უპირატესობა აქვს კაპიტალისტურ სისტემასთან შედარებით.

8. მშრომელთა ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესების საქმეში და მათი სოციალური უფლებების დაცვაში მნიშვნელოვანი წარმატებანი მოიპოვეს სახალხო დემოკრატიის ქვეყნების პროფკავშირებმა, რომლებიც განვითარების სოციალისტურ გზას დაადგნენ. ეს წარმატებანი გამოიხატება თანაბარი შრომისათვის თანაბარი ანაზღაურების პრინციპის განხორციელებით, სახელმწიფო სოციალური დაზღვევისა და პროგრესული შრომითი კანონმდებლობის შემოღებითა და განვითარებით, სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში უმუშევრობის აღმოფხვრით, მშრომელთა რეალური ხელფასისა და ცხოვრების დონის ამაღლებით.

9. პროფკავშირთა ლონდონის მსოფლიო კონფერენციისა და პარიზის მსოფლიო კონგრესის გადაწყვეტილებებმა განსაზღვრეს ამოცანები, რომლებიც ყველა ქვეყნის ეროვნული პროფკავშირული ცენტრების წინაშე დგას მშრომელთა ეკონომიური და სოციალური ინტერესების დასაცავად მათი საქმიანობის დარგში.

კონგრესი ეროვნულ პროფკავშირულ ცენტრებს და მსოფლიო ქვეყნების პროფკავშირებს მოუწოდებს გადამწყვეტი ბრძოლა აწარმოონ ამ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, იბრძოლონ მეწარმეთა და კაპიტალისტურ მთავრობათა იმ ცდების წინააღმდეგ, რომ მუშათა კლასს დააკისრონ მოახლოებული ეკონომიური კრიზისის მძიმე სიმძიმე.

მეორე მსოფლიო კონგრესს მიაჩნია, რომ მშრომელთა ეკონომიური და სოციალური პირობების გაუმჯობესებისათვის ბრძოლა, კაპიტალის გაძლიერებული შეტევის წინააღმდეგ უმნიშვნელოვანესი საშუალებაა მუშათა კლასის პროფკავშირული ერთიანობის შემდგომი განმტკიცება, პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის განმტკიცება.

კონგრესი მოუწოდებს პროფკავშირებს იბრძოლონ თავიანთი ქვეყნების ეკონომიური დამოუკიდებლობისათვის, ეროვნული მრეწველობის შენარჩუნებისა და განვითარებისათვის, რომელიც ერთადერთი საშუალებაა იმისა, რომ აღმოფხვრას ომისშემდგომი ეკონომიური გაჩანაგება და ამაღლდეს ხალხის მასების ცხოვრების დონე, იბრძოლონ სამხედრო ბიუჯეტების შემცირებისათვის.

პროფკავშირებმა უნდა იბრძოლონ კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნების ეკონომიური დამოუკიდებლობისათვის, იბრძოლონ კაპიტალისტურ და კოლონიურ ქვეყნებში იძულებითი მონური შრომის წინააღმდეგ; ასაკის, სქესის, რასისა და ეროვნების ნიშნების მიხედვით მშრომელთა დისკრიმინაციის წინააღმდეგ.

პროფკავშირებმა ბრძოლა უნდა აწარმოონ ანტიმუშური კანონების გაუქმებისათვის და მიაღწიონ პროგრესული სოციალური კანონმდებლობის მიღებას, რომელიც ითვალისწინებს სამუშაო დღის ხანგრძლივობის შემცირებას, უმუშევრობის გამო დახმარების დაწესებას, სახელმწიფოს და მეწარმეთა ხარჯზე სოციალური დაზღვევის, უფასო სამედიცინო დახმარების, ფასიანი შვებულების შემოღებას, იბრძოლონ მშრომელთა სამუშაოთი უზრუნველყოფისათვის, ხელფასის გაფინვისა და შემცირების წინააღმდეგ, იბრძოლონ ხელფასის რეალური გადიდებისათვის.

10. კონგრესი ავალებს პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის აღმასრულებელ ბიუროს ფართოდ გაავრცელოს მშრომელთა ეკონომიური და სოციალური ინტერესების დაცვის პროგრამა, რომელიც მიიღეს პროფკავშირთა ლონდონის მსოფლიო კონფერენციამ და პარიზის მსოფლიო კონგრესმა, ამასთანავე ასახოს სოციალურ-ეკონომიური ცვლილებანი და მუშათა კლასის განვლილი პერიოდის ბრძოლის გამოცდილება.

11. კონგრესი ავალებს პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის აღმასრულებელ კომიტეტს შექმნას მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობისა და პროფკავშირული ორგანიზაციების დამხმარე ფონდი პროფკავშირული ორგანიზაციებს, პროფკავშირთა წევრებისა და იმ პირთა და ორგანიზაციათა ნებაყოფლობითი შენატანები, რომელიც მხარს უჭერენ მუშათა კლასს ბრძოლას მისი სასიცოცხლო ინტერესებისათვის.

სახალხო დემონსტრაცია პარიზში

პარიზი, 14 ივლისი. (საკდესი). დღეს პარიზში 14 ივლისის ტრადიციულ ეროვნულ დღესასწაულთან — ბასტილიის აღების დღესთან დაკავშირებით ელისეს მინდვრებში მოწყო ოფიციალური ცერემონია და სამხედრო პარადი.

ნაშუადღევს შედგა მძლავრი სახალხო დემონსტრაცია, რომელმაც გაიარა ბასტილიის მოედნიდან ერის მოედნამდე. ამ დემონსტრაციაში, რომელიც მრავალეროვანი დემოკრატიული ორგანიზაციების და კერძოდ „მშვიდობისა და თავისუფლებისათვის მებრძოლთა" ორგანიზაციის, შრომის საყოველთაო კონფედერაციის, მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესის მუდმივი კომიტეტის, საფრანგეთის კომუნისტური პარტიის, უნიტარული სოციალისტური პარტიის, ფრანგ ქალთა კავშირის, საფრანგეთის რესპუბლიკის ახალგაზრდათა კავშირის და მრავალ სხვათა მოწოდებით მოეწყო, მონაწილეობა მიიღო ასეულობით ათასმა პარიზელმა. მათ მიჰქონდათ საფრანგეთის სამფეროვანი და წითელი დროშები, მრავალრიცხოვანი პლაკატები და ტრანსპარანტები ერთიანობისა და მშვიდობის დაცვის, ატლანტიკის პაქტისა და ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ ბრძოლის, საბჭოთა კავშირთან მეგობრობის, ვიეტნამში მშვიდობის დამყარების მოწოდებებით. დემონსტრაცია 3 საათზე მეტ ხანს გრძელდებოდა.

დემონსტრაციის მოწინავე კოლონაში მიდიოდნენ „მშვიდობისა და თავისუფლებისათვის მებრძოლთა" ორგანიზაციის ეროვნული საბჭოს წევრები ივ ფარეის მეთაურობით, რომელსაც მიესალმებოდა მარშრუტის გაყოლებით თავმოყრილი ხალხი. მათ შემდეგ მიდიოდნენ მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესის მუდმივი კომიტეტის, შრომის საყოველთაო კონფედერაციის ეროვნული კომიტეტისა და პარიზის რაიონის პროფკავშირთა გაერთიანებული ბიუროს წევრები. პარიზელები მქუხარე ტაშითა და მისასალმებელი შეძახილებით ხვდებოდნენ დემონსტრაციის მთელ სიგრძეზე საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრებს, რომლებიც მიდიოდნენ მორის ტორეზის, ჟაკ დიუკლოს, ანდრე მარტისა და მარსელ კაშენის მეთაურობით. ხალხი შემდეგ მხურვალედ მიესალმებოდა უნიტარული სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრებს, რომლებსაც მიუძღოდნენ ელი ბლონკერი, ჟან გინბერი, ჟან-მორის ერმანი და სხვ.

ერის მოედანზე დემოკრატიული ორგანიზაციების ხელმძღვანელები წითელი ტილოებით მორთულ ტრიბუნაზე ავიდნენ. ორკესტრის ხმაზე დაიწყო პარიზის მშრომელთა, დეკორატორთა და რესპუბლიკელთა კოლონების მაჯრა.

პირველად მშვიდობისა და ხალხთა შორის მეგობრობის დაცვის მოწოდებებით გაიარეს საფრანგეთ-პოლონეთის მეგობრობის, საფრანგეთ-უნგრეთის მეგობრობის, საფრანგეთ-ვიეტნამის მეგობრობისა და სხვა საზოგადოებებმა. დიდ ტილოებზე წარწერილი ლოზუნგებით, საფრანგეთის დროშებითა და საბჭოთა კავშირის დროშებით გაიარა „საფრანგეთ-სსრ კავშირის" ასოციაციამ. სატვირთო მანქანაზე დადგმული იყო ტრანსპარანტი წარწერით: „სსრ კავშირთან კავშირი და მეგობრობა — ეს არის შვიდობა, ეს არის საფრანგეთის უშიშროება და აყვავება".

მშრომელები „საფრანგეთ-სსრ კავშირის" ასოციაციის კოლონებს შეხვდნენ ლოზუნგებით: „გაუმარჯოს საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობას!", „ფრანგი ხალხი არასოდეს არ დაამტკიცებს ატლანტიკის პაქტს, რომელიც მიმართულია სსრ კავშირთან ჩვენი მეგობრობის წინააღმდეგ".

შემდეგ გაიარეს რესპუბლიკის რეზერვისტ ოფიცერთა ფედერაციის, ფრანტირერთა, პარტიზანთა, რკინიგზელთა და სხვათა კოლონებმა.

მწყობრ კოლონებად, რომლებსაც მრავალრიცხოვანი ხალხი მქუხარედ მიესალმებოდა, ჩაიარა სახალხო დემონსტრაციაში მონაწილეობის მისაღებად პარიზში სპეციალურად ჩამოსულმა ინგლისის დემოკრატიულ ორგანიზაციათა 800 დელეგატმა ინგლისის, საფრანგეთისა და საბჭოთა კავშირის დროშებით. მათ მიჰქონდათ უზარმაზარი პლაკატები წარწერით: „ინგლისელი დემოკრატები მიესალმებიან პარიზის მშრომელებს!", „ინგლისელი დემოკრატები მიესალმებიან საბჭოთა კავშირის მოკავშირეებს!", „გაუმარჯოს ლონდონელ დოკერებთან საერთაშორისო სოლიდარობას!", „საბჭოთა კავშირთან მეგობრული დამოკიდებულება ყველას უზრუნველყოფს სამუშაოთი და მშვიდობით!", „ინგლისელი დემოკრატები თქვენთან არიან მშვიდობისათვის ბრძოლაში!", „სხვა ხალხებთან ერთად ინგლისელი დემოკრატები ამხილებენ ატლანტიკის პაქტს, ანტისაბჭოთა ომის მომზადების პაქტს!".

შემდეგ ჩაიარა ამერიკელ სტუდენტთა კოლონამ, რომელიც მრავალგზის იმეორებდა ლოზუნგს: „ამერიკელი პროგრესული მოქალაქენი იბრძვიან მშვიდობისათვის".

პარიზის დემოკრატიულმა ახალგაზრდობამ სამღერით ჩაიარა ტრიბუნასთან. სიმღერის სიტყვები მოუწოდებდნენ ატლანტიკის პაქტის წინააღმდეგ ბრძოლისა და საბჭოთა კავშირთან მეგობრობისაკენ.

პარიზელ მშრომელთა, დემოკრატთა და რესპუბლიკელთა 14 ივლისის დემონსტრაციამ ცხადყო, თუ რაოდენ განმტკიცდა ხალხის ფართო მასების ერთიანობა, რაოდენ განმტკიცდა ომის პოლიტიკის წინააღმდეგ, ატლანტიკის პაქტის წინააღმდეგ, მშვიდობისათვის, საბჭოთა კავშირთან მეგობრობისა და მშრომელთა მოთხოვნების დაკმაყოფილებისათვის მათი ბრძოლის სურვილი.

ჩეხოსლოვაკიის კინემატოგრაფიის მოღვაწეთა დელეგაცია პარიზში

თბილისში ორ დღეს სტუმრად იყო ჩეხოსლოვაკიის კინემატოგრაფიის მოღვაწეთა დელეგაცია ჩეხოსლოვაკიის სახელმწიფო კინოსამეჩოს თავმჯდომარის ბ-ნ ბოგდან როსას მეთაურობით.

სტუმრები გაეცნენ თბილისის ლენინის ორდენოსანი კინოსტუდიის მუშაობას, ნახეს მისი ნაწარმოები მთელი რიგი მხატვრული და დოკუმენტალური ფილმები. შეხვდნენ საქართველოს კინემატოგრაფიის მუშაკებს.

დელეგაცია გაემგზავრა ამხანაგ ი. ბ. სტალინის სამშობლო ქალაქ გორში. სტუმრებმა ინახულეს საქართველოს ძველი ქალაქი მცხეთა, სადაც გაეცნენ ქართული მატერიალური კულტურის ძეგლებს.

თბილისში დაბრუნების შემდეგ დელეგაციამ დაათვალიერა რესპუბლიკის დედაქალაქის ღირსშესანიშნაობანი, იყო სტალინის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში ფუნიკულორის პლატოზე.

საქართველოს სსრ კინემატოგრაფიის მინისტრმა ამხ. გ. ი. კიკნაძემ ჩეხოსლოვაკიის კინემატოგრაფიის მოღვაწეთა დელეგაციის პატივსაცემად დარბაზობა გამართა. დარბაზობის დაესწრნენ საქართველოს კინემატოგრაფიის შემოქმედებითი მუშაკები, მეცნიერების, ხელოვნების, ლიტერატურის მოღვაწეები.

15 ივლისს ჩეხოსლოვაკიის კინემატოგრაფიის მოღვაწენი თბილისიდან მოსკოვს გაემგზავრნენ. (საკდესი).

რუსთაველის სახელობის თეატრის გასტროლები ბათუმში

ბათუმი. (საკ. კორ.). აჭარის დედაქალაქის მშრომელები დიდი სიხარულით შეხვდნენ თბილისის რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობებს, რომლებიც აქ საგასტროლოდ ჩამოვიდნენ.

12 ივლისს სახელმწიფო თეატრში დაიწყო რუსთაველის სახელობის თეატრის წარმოდგენები. ნაჩვენები იყო ი. მოსაშვილის პიესა „ჩაძირული ქვები". სპექტაკლს დიდძალი მაყურებელი დაესწრო. სპექტაკლმა ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა ბათუმელ მაყურებლებზე.

13 ივლისს მაყურებელმა ნახა შექსპირის „ოტელო".

თეატრის კოლექტივი ბათუმის მაყურებელს აგრეთვე უჩვენებს ვ. პატარაიას „უჩა უჩარდიას", გ. წერეთლის „პირველ ნაბიჯს", ა. ყაზბეგის „ქეთევან დედოფალს". გარდა ამისა, თეატრის მსახიობთა მონაწილეობით გაიმართება რამდენიმე საშეფო კონცერტი ქალაქის საწარმოებსა და საკოლმეურნეო სოფლებში.

ეკონომიურ-გეოგრაფიული ექსპედიცია მესხეთში

ახალციხე. (საკ. კორ.). ამ დღეებში მესხეთში ჩამოვიდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის ეკონომიურ-გეოგრაფიული ექსპედიცია, რომელსაც ხელმძღვანელობს ეკონომიურ მეცნიერებათა დოქტორი ლ. ა. კარბელაშვილი.

ექსპედიცია აქ დაჰყოფს თვენახევარს და შეისწავლის მესხეთის რაიონების — ახალციხის, ადიგენისა და ასპინძის ტერიტორიას, მოსახლეობას, სამკურნალო ადგილებს, სოფლის მეურნეობას, გეოგრაფიას და სხვ.

ახალი წიგნები

სახელგამმა გამოსცა შემდეგი წიგნები:

კ. ს. სტანისლავსკი: მსახიობის მუშაობა თავის თავზე. თარგმანი გ. მუმლაძისა, რ. შადურის რედაქციით. წიგნი შეიცავს 571 გვერდს და ღირს 18 მანეთი.

ნიკო გვარაძე — თეატრალური მემუარები ბ. გოგუას რედაქციით. წიგნი შეიცავს 274 გვერდს და ღირს 12 მანეთი და 50 კაპ.

გამომცემლობა „ხელოვნებამ" გამოსცა **შალვა კაშმაძის** ვრცელი დოკუმენტალურ-ბიოგრაფიული ნარკვევი **„ზაქარია ფალიაშვილი".** წიგნის რედაქტორია პავლე ხუციშვილი. წიგნი დასურათებულია და ღირს 12 მანეთი.

პასუხისმგებელი რედაქტორის მოადგილე ი. ნატროშვილი

ოსეთის კომპარტიის სამდივნოს კომუნიკე

რომი, 14 ივლისი. (საკდესი). გაზეთმა „უნიტამ" გამოაქვეყნა იტალიის კომპარტიის სამდივნოს კომუნიკე, რომელშიც ნათქვამია:

წელიწადი გავიდა მას შემდეგ, რაც მკვლელის ხელმა სცადა სამუდამოდ წაერთმია იტალიის კომუნისტებისა და მშრომელთათვის მათი მასწავლებელი და ბელადი. ამხ. ტოლიატიზე თავდასხმა კომუნისტური პარტიისა და მისი ბელადის წინააღმდეგ საშინელი სიძულვილის, სიცრუისა და ცილისწამების კამპანიის კულმინაციური პუნქტი იყო. იგი საწყისი პუნქტი გახდა რეაქციული ჯგუფების რეპრესიულ მოქმედებაში, რომელთა მიზანია ძალით მოსპონ დემოკრატიული მოძრაობა.

სახალხო მოძრაობის ძლიერმა ზვირთმა აღაკვეთა იმ დღეებში პროვოკაცია და სრულიად ცხადყო ხალხის მასების საბრძოლო აღფრთოვანება და პოლიტიკური სიმწიფე, რომელთაც მტკიცედ გადაუწყვეტიათ დაიცვან თავიანთი მონაპოვარი. ფართო საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვა დაშინების ცდების პირველ პასუხი იყო. ერთი წლის განმავლობაში პარტიის ყველა წევრის განუწყვეტელმა საქმიანობამ განმტკიცა და გამოაწრთო პარტიული ორგანიზაცია და მასობრივი ორგანიზაციები, რომელთა შესუსტების იმედი ჰქონდა მტერს. ახალ წევრთა განუწყვეტელი შემატების, დიდი საბრძოლო გამოცდილების მეოხებით, იმ ნდობის მეოხებით, რასაც მას იტალიელ მშრომელთა უმრავლესობა უცხადებს, კომუნისტური პარტია ამჟამად ბევრად უფრო ძლიერია, ვიდრე წარსულში იყო.

ტოლიატის ხელმძღვანელობით, რომელიც მუშაობასა და ბრძოლას დაუბრუნდა, კომუნისტური პარტია ამჟამად იტალიის მშრომელთა საიმედო ბურჯს წარმოადგენს და დგას იმ მშრომელთა, მოქალაქეთა და პატრიოტთა ბრძოლის ფართო ფრონტის ცენტრში, რომელნიც ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა ხელი შეუშალონ პრივილეგიური კლასებისა და უცხოელთა სამსახურში მყოფ მთავრობას, რომელიც ცდილობს სიღატაკეში ჩაგდოს და ომი მოახვიოს თავს იტალიას.

დასასრულ კომუნიკეში ნათქვამია:

1948 წლის ივლისის დიადი დღეები რომ მოვიგონოთ, ყველა მშრომელი თავისი პარტიის მოღვაწეობასა და ძალას რომ გაეცნოს, ამხანაგ ტოლიატისადმი მილეთნობით კომუნისტისა და დემოკრატის ერთგულება რომ გამოვხატოთ, ამისათვის 17 ივლისს მოხდება „კომუნისტური პარტიის დღის" დღესასწაული. ყველა პარტიულ ფედერაციაში მოეწყობიან ძიტინგები, სადაც ხელმძღვანელ კომიტეტთა მდივნები მოხსენებას გააკეთებენ პარტიის მოღვაწეობისა და ძალის შესახებ.

სახალხო დემონსტრაცია პარიზში

პარიზი, 14 ივლისი. (საკდესი). დღეს პარიზში 14 ივლისის ტრადიციულ ეროვნულ დღესასწაულთან — ბასტილიის აღების დღესთან დაკავშირებით ელისეს მინდვრებში მოეწყო ოფიციალური ცერემონია და სამხედრო პარადი.

ნაშუადღევს შედგა მძლავრი სახალხო დემონსტრაცია, რომელმაც გაიარა ბასტილიის მოედნიდან ერის მოედნამდე. ამ დემონსტრაციაში, რომელიც მრავალეროვანი დემოკრატიული ორგანიზაციების და კერძოდ „მშვიდობისა და თავისუფლებისათვის მებრძოლთა" ორგანიზაციის, შრომის საყოველთაო კონფედერაციის, მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესის მუდმივი კომიტეტის, საფრანგეთის კომუნისტური პარტიის, უნიტარული სოციალისტური პარტიის, ფრანგ ქალთა კავშირის, საფრანგეთის რესპუბლიკის ახალგაზრდათა კავშირის და მრავალ სხვათა მოწოდებით მოეწყო, მონაწილეობა მიიღო ასეულობით ათასმა პარიზელმა. მათ მიჰქონდათ საფრანგეთის სამფეროვანი და წითელი დროშები, მრავალრიცხოვანი პლაკატები და ტრანსპარანტები ერთიანობისა და მშვიდობის დაცვის, ატლანტიკის პაქტისა და ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ ბრძოლის, საბჭოთა კავშირთან მეგობრობის, ვიეტნამში მშვიდობის დამყარების მოწოდებებით. დემონსტრაცია 3 საათზე მეტ ხანს გრძელდებოდა.

დემონსტრაციის მოწინავე კოლონაში მიდიოდნენ „მშვიდობისა და თავისუფლებისათვის მებრძოლთა" ორგანიზაციის ეროვნული საბჭოს წევრები ივ ფარეის მეთაურობით, რომელსაც მიესალმებოდა მარშრუტის გაყოლებით თავმოყრილი ხალხი. მათ შემდეგ მიდიოდნენ მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესის მუდმივი კომიტეტის, შრომის საყოველთაო კონფედერაციის ეროვნული კომიტეტისა და პარიზის რაიონის პროფკავშირთა გაერთიანებული ბიუროს წევრები. პარიზელები მქუხარე ტაშითა და მისასალმებელი შეძახილებით ხვდებოდნენ დემონსტრაციის მთელ სიგრძეზე საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრებს, რომლებიც მიდიოდნენ მორის ტორეზის, ჟაკ დიუკლოს, ანდრე მარტისა და მარსელ კაშენის მეთაურობით. ხალხი შემდეგ მხურვალედ მიესალმებოდა უნიტარული სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრებს, რომლებსაც მიუძღოდნენ ელი ბლონკერი, ჟან გინბერი, ჟან-მორის ერმანი და სხვ.

ერის მოედანზე დემოკრატიული ორგანიზაციების ხელმძღვანელები წითელი ტილოებით მორთულ ტრიბუნაზე ავიდნენ. ორკესტრის ხმაზე დაიწყო პარიზის მშრომელთა, დეკორატორთა და რესპუბლიკელთა კოლონების მაჯრა.

პირველად მშვიდობისა და ხალხთა შორის მეგობრობის დაცვის მოწოდებებით გაიარეს საფრანგეთ-პოლონეთის მეგობრობის, საფრანგეთ-უნგრეთის მეგობრობის, საფრანგეთ-ვიეტნამის მეგობრობისა და სხვა საზოგადოებებმა. დიდ ტილოებზე წარწერილი ლოზუნგებით, საფრანგეთის დროშებითა და საბჭოთა კავშირის დროშებით გაიარა „საფრანგეთ-სსრ კავშირის" ასოციაციამ. სატვირთო მანქანაზე დადგმული იყო ტრანსპარანტი წარწერით: „სსრ კავშირთან კავშირი და მეგობრობა — ეს არის შვიდობა, ეს არის საფრანგეთის უშიშროება და აყვავება".

მშრომელები „საფრანგეთ-სსრ კავშირის" ასოციაციის კოლონებს შეხვდნენ ლოზუნგებით: „გაუმარჯოს საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობას!", „ფრანგი ხალხი არასოდეს არ დაამტკიცებს ატლანტიკის პაქტს, რომელიც მიმართულია სსრ კავშირთან ჩვენი მეგობრობის წინააღმდეგ".

შემდეგ გაიარეს რესპუბლიკის რეზერვისტ ოფიცერთა ფედერაციის, ფრანტირერთა, პარტიზანთა, რკინიგზელთა და სხვათა კოლონებმა.

მწყობრ კოლონებად, რომლებსაც მრავალრიცხოვანი ხალხი მქუხარედ მიესალმებოდა, ჩაიარა სახალხო დემონსტრაციაში მონაწილეობის მისაღებად პარიზში სპეციალურად ჩამოსულმა ინგლისის დემოკრატიულ ორგანიზაციათა 800 დელეგატმა ინგლისის, საფრანგეთისა და საბჭოთა კავშირის დროშებით. მათ მიჰქონდათ უზარმაზარი პლაკატები წარწერით: „ინგლისელი დემოკრატები მიესალმებიან პარიზის მშრომელებს!", „ინგლისელი დემოკრატები მიესალმებიან საბჭოთა კავშირის მოკავშირეებს!", „გაუმარჯოს ლონდონელ დოკერებთან საერთაშორისო სოლიდარობას!", „საბჭოთა კავშირთან მეგობრული დამოკიდებულება ყველას უზრუნველყოფს სამუშაოთი და მშვიდობით!", „ინგლისელი დემოკრატები თქვენთან არიან მშვიდობისათვის ბრძოლაში!", „სხვა ხალხებთან ერთად ინგლისელი დემოკრატები ამხილებენ ატლანტიკის პაქტს, ანტისაბჭოთა ომის მომზადების პაქტს!".

შემდეგ ჩაიარა ამერიკელ სტუდენტთა კოლონამ, რომელიც მრავალგზის იმეორებდა ლოზუნგს: „ამერიკელი პროგრესული მოქალაქენი იბრძვიან მშვიდობისათვის".

პარიზის დემოკრატიულმა ახალგაზრდობამ სამღერით ჩაიარა ტრიბუნასთან. სიმღერის სიტყვები მოუწოდებდნენ ატლანტიკის პაქტის წინააღმდეგ ბრძოლისა და საბჭოთა კავშირთან მეგობრობისაკენ.

პარიზელ მშრომელთა, დემოკრატთა და რესპუბლიკელთა 14 ივლისის დემონსტრაციამ ცხადყო, თუ რაოდენ განმტკიცდა ხალხის ფართო მასების ერთიანობა, რაოდენ განმტკიცდა ომის პოლიტიკის წინააღმდეგ, ატლანტიკის პაქტის წინააღმდეგ, მშვიდობისათვის, საბჭოთა კავშირთან მეგობრობისა და მშრომელთა მოთხოვნების დაკმაყოფილებისათვის მათი ბრძოლის სურვილი.

კორეის სახალხო-დემოკრატიულ არმიაში შეეიდა სამხრეთ კორეის ორი ბატალიონი

ფხენიანი, 14 ივლისი. (საკდესი). ფხენიანის რადიოს ცნობით, ორი ბატალიონის ჯარისკაცებმა და ოფიცრებმა, რომლებიც 6 მაისს აჯანყდნენ ლი სინ მანის მარიონეტული რეჟიმის წინააღმდეგ და სამხრეთ კორეიდან ჩრდილოეთ კორეაში გადავიდნენ, გადაწყვიტეს შეუერთდნენ ჩრდილოეთ კორეის სახალხო-დემოკრატიულ არმიას.

ამას წინათ კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული თავდაცვის მინისტრმა ბრძანება გასცა ჯარებისადმი, რომ აღნიშნული ბატალიონების ჯარისკაცები და ოფიცრები ჩაირიცხონ კორეის სახალხო-დემოკრატიულ არმიის ნამდვილ